პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 4 დეკემბერი, 1951 წ. № 284 (9138). ფასი 20 კაპ.

ეროვნული

## დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა

კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ პარტიულ განათლებას—„პრავდის" 2-XII მოწინავე (1-ლი გვერდი).

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა უძლეველია (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — როცა პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს (მე-2 გვერდი).

გ. კიკნაძე — მოსახლეობის კინომომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის (მე-2 გვერდი).

მანქანა-იარაღებს და მუშა-საქონელს სრული დატვირთვით არ იყენებენ (მე-2 გვერდი).

საკდესის ცნობა (მე-2 გვერდი).

გო მო-ჟო — გაუმარჯოს სტალინს! (მე-3 გვერდი).

ხუ ფენი — სიხარულის ჰიმნი (მე-3 გვერდი).

ფინ სიუე-ფინი — მშვიდობის მტკიცე საწინდარი (მე-3 გვერდი).

სანდრო შანშიაშვილი — ჩვენი სალამი ჩინელ მეგობრებს (მე-3 გვერდი).

გივი მელაძე — თავისუფალი ჩინელი ხალხის სამსახურში (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ პარტიულ განათლებას

ჩვენი პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან პოლიტიკური განათლების დარგში. მილიონობით ადამიანი ბეჯითად, შემოქმედებითი შთაგონებით ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს. რევოლუციური თეორია გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით, გვეხმარება ღრმად შევიგნოთ პარტიის პოლიტიკა, რაზმავს მშრომელთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ **რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიანია მუშაობის შედეგები.** მასების კომუნისტური აღზრდის, კადრების იდეურ-თეორიული მომზადების შემდგომი ამაღლების საკითხები მუდამ არის ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია პოლიტსკოლების, წრეების, საღამოს პარტიული სკოლების, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების უფართოესი ქსელი.

მეცადინეობის იდეური დონის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობს ახლანდელი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. როგორც სასწავლო წლის ორი თვის გამოცდილება გვიჩვენებს, ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში სკოლებისა და წრეების მეცადინეობა უფრო წარმატებით და ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წლებში. ეს არის იმ დიდი მუშაობის შედეგი, რომელიც გაწეულია პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის, პოლიტსკოლების, წრეების, სემინარების დაკომპლექტებისა და კომუნისტებისა და უპარტიო ინტელიგენციის დამოუკიდებელი სწავლის ორგანიზაციისათვის.

დადებითი ფაქტია, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ყოველდღიურ კონტროლს ახორციელებს პოლიტიკური სწავლების მიმდინარეობისადმი, დიდ ყურადღებას აქცევს პროპაგანდისტებთან მუშაობას. ამ უკანასკნელ ხანს პარტიული განათლებისა და პროპაგანდისტებთან მუშაობის საკითხები განხილულ იქნა პარტიის მთელი რიგი საოლქო და საქალაქო კომიტეტების პლენუმებზე. მაგალითად, საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმმა ამას წინათ განიხილა პროპაგანდისტთა კადრების ხელმძღვანელობისა და მათთან აღმზრდელობითი მუშაობის საკითხი. პლენუმმა აღნიშნა, რომ საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ გააუმჯობესა მუშაობა პროპაგანდისტთა შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში. მიმდინარე სასწავლო წელს ოლქში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა ოცდაშვიდ ათასზე მეტი კომუნისტი; აქედან 65 პროცენტს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს, ნახევარზე მეტს — სპეციალური პოლიტიკური განათლება. ამასთანავე ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმმა გამოარკვია, რომ ზოგიერთი რაიკომი ჯერ კიდევ ვერ ეწევა საკმაო მუშაობას პროპაგანდისტთა კადრებთან, სუსტად უწევს კონტროლს პარტიული განათლების საქმეს.

პარტიის ულიანოვსკისა და კოსტრომის საოლქო კომიტეტების პლენუმებზე, რომლებმაც განიხილეს პარტიული განათლების ხელმძღვანელობის დარგში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების საკითხი, შეჯამებულ იქნა მეცადინეობის პირველი შედეგები და დაისახა პოლიტიკური განათლების იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი.

პლენუმებმა დაავალეს პარტიულ ორგანიზაციებს გადაჭრით აღმოფხვრან პროპაგანდისტთა ერთი ნაწილის მედავითნური მიდგომა მარქსისტულ-ლენინური თეორიის გაშუქებისადმი, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით, დანერგონ შემოქმედებითი დამოკიდებულება მოწინავე თეორიისადმი, მჭიდროდ დაუკავშირონ მისი შესწავლა კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკას.

პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის ამაღლების ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითეული პარტიული კომიტეტი სისტემატურად, ყოველდღე კონკრეტულად უხელმძღვანელებს თავისი პროპაგანდისტების მუშაობას, საჭირო დახმარებას გაუწევს წრეებს, სკოლებსა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებს. პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ზრუნვას უნდა იჩენდნენ პრესაში პროპაგანდისა და ლექციური პროპაგანდის სწორად დაყენებისათვის. ყოვლად შეუწყნარებელია პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობისადმი კამპანიური მიდგომა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ისეთი ფაქტები, რომ პარტიულ კომიტეტებს პოლიტიკური სწავლების ორგანიზაცია აგონდებათ მხოლოდ სასწავლო წლის დაწყების წინ და სასწავლო წლის შედეგების შეჯამებისას.

ქალაქ ვილნიუსის პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა სამართლიანად გააკრიტიკეს საქალაქო კომიტეტი და ქალაქის რაიკომები იმისათვის, რომ ისინი სუსტად ახორციელებენ ყოველდღიურ კონტროლს კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლებისადმი. რაიკომები და საქალაქო კომიტეტი ცუდად ზრუნავენ პროპაგანდისტების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. აქტივის კრებაზე აღინიშნა კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლების საქმის სერიოზული ნაკლოვანებანი. ძერჟინსკის რაიკომში დღემდე მთლიანად ვერ გამოურკვევიათ, თუ რამდენი კაცი მუშაობს რაიონში თვითგანათლებაზე, როგორ მუშაობენ კონსულტანტები. ამავე დროს ზოგიერთი კონსულტანტი ჯერ არ შეხვედრია იმ ამხანაგებს, რომლებსაც მათ დახმარება უნდა გაუწიონ დამოუკიდებლად სწავლაში. ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტი არ ამოწმებს იმ ამხანაგების სწავლას, რომლებიც დამოუკიდებლად მეცადინეობენ, და საჭირო დახმარებას არ უწევს მათ თეორიის დაუფლებაში.

პარტიულ განათლებაში მთავარია მისი მაღალი იდეური დონე. პარტია ასწავლის კომუნისტებსა და უპარტიოებს შემოქმედებითად დაეუფლონ თეორიას, ზედმიწევნით შეითვისონ მისი არსი, მისი რევოლუციური სული. მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, დავეხმაროთ ჩვენს კადრებს სწორად გადაწყვიტონ ყოველდღიური პრაქტიკული საკითხები, ნათლად დაინახონ განვითარების პერსპექტივები.

რევოლუციური თეორიის შემოქმედებითად შესწავლა უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ შევისწავლოთ მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში, ბეჯითად ვეუფლებოდეთ მარქსისტულ-ლენინურ მეთოდს და შეგვეძლოს გამოვიყენოთ ეს მეთოდი საზოგადოებრივი მოვლენების შეფასებაში, კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში. ბოლშევიკი პროპაგანდისტი მოვალეა ისწრაფოდეს, რომ ყოველმა მსმენელმა ნათლად დაინახოს და ზედმიწევნით შეიგნოს ამა თუ იმ თეორიული დებულების აქტუალობა ახლანდელი დროისათვის. თეორია უნდა ეხმარებოდეს ჩვენს კადრებს პრაქტიკის გააზრებასა და განზოგადებაში.

თეორიული სწავლის მაღალი დონე, თეორიის შემოქმედებითი შეთვისება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პროპაგანდისტზე, იმაზე, თუ როგორ ემზადება იგი მეცადინეობისათვის, როგორ სრულყოფს თავის მეთოდურ ოსტატობას. პროპაგანდისტს მოეთხოვება, რომ იგი თვითონ შემოქმედებითად ამუშავებდეს თვითეულ თემას. მაგრამ სკოლებსა და წრეებში ბევრი ლექციის, კონსულტაციისა და მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე საკმაოდ მაღალი არ არის. იქ ყოველთვის როდია მოცემული იმ თეორიულ დებულებათა ღრმა ახსნა-განმარტება, რომლებსაც შეიცავენ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა ნაწარმოებნი. ხშირად დოგმატურ, მედავითნურ მიდგომას იჩენენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების გაშუქებაში.

ნაცვლად იმისა, რომ ცდილობდეს თეორიულ დებულებათა შემოქმედებითად შეთვისებას, ზოგიერთი პროპაგანდისტი მსმენელთაგან მოითხოვს მხოლოდ ცალკეული ფორმულების დაზეპირებას, მრავალი თარიღისა და ციფრის დახსომებას. პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკის ასეთი ნაკლოვანებანი იმას მოწმობენ, რომ ცალკეული პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობის შინაარსს, სუსტად ზრუნავენ პროპაგანდისტთა თეორიული დონისა და მეთოდური მომზადების ამაღლებისათვის.

კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლება პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. აიარაღებენ რა კომუნისტებს მოწინავე თეორიით, პარტიული ორგანიზაციები აძლიერებენ თავიანთ როლს ლენინ-სტალინის დიადი იდეების განხორციელებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

„პრავდის" 2-XII მოწინავე

## მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა უძლეველია

★

### მეშახტეთა სასახელო საქმეები

**ტყიბული.** (საკ. კორ.). თავიანთ ერთგულებას მშვიდობისადმი ტყიბულელი მეშახტეები თავდადებული შრომით გამოხატავენ. მათ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების გასადიდებლად და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. მოწინავე შახტებსა და უბნებს ნაკისრი ჰქონდათ 5 დეკემბრისათვის შეესრულებინათ წლიური გეგმები.

ნაკისრი ვალდებულება შახტებს შორის პირველად გაანაღდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა გელათის შახტის კოლექტივმა. ახლა ამ შახტის ყველა უბანი, ცვლა და ბრიგადა მომავალი წლის ანგარიშში იღებს ქვანახშირს.

თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც ორ დეკემბერს პირველ ცვლაში გაანაღდა წლიური დავალება. შახტში ქვანახშირის ამოღება განვლილ 11 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,7 პროცენტით გაიზარდა, მნიშვნელოვნად შემცირდა ქვანახშირის თვითღირებულება და ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ის უბნები, რომლებსაც სამთო ინჟინრები ამხ. დ. დობორჯგინიძე, შ. შოთაძე და გ. მამარდაშვილი ხელმძღვანელობენ.

დიდ წარმატებას აღწევს სტალინის სახელობის შახტში ციკლური გრაფიკით მომუშავე გ. ბანძელაძის ბრიგადა. მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ სტახანოველი მეშახტეები დ. კუბლაშვილი, დ. გოქაშვილი, ვლ. სეხნიაშვილი და ათობით სხვა სტახანოველი.

ტყიბულელი მეშახტეები დიდი ინტერესით ეცნობიან მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციის მიმართვას. აგიტატორები მეშახტეებს ფართოდ აცნობენ კონფერენციის მასალებს. მუშები იწონებენ კონფერენციის გადაწყვეტილებას. სტახანოველები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ ქვანახშირის მოპოვების შემდგომი გადიდებისათვის.

★ ★ ★

### სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ცნობილმა მექვაბემ იოსებ მაჩაიძემ 11 თვეში სამი წლის დავალება შეასრულა. იგი სტახანოვურ ვახტზე დგას და დღიურ ნორმებს 300-400 პროცენტით ასრულებს. ქარხნის კოლექტივმა სტახანოველი მექვაბე მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატად აირჩია, ხოლო რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილეებმა იგი მოსკოვში მშვიდობის საკავშირო კონფერენციაზე წარგზავნეს.

ქარხნის მრავალათასიანმა კოლექტივმა გაშალა მშვიდობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. სამსხმელო, მექანიკურმა, საბორბლე, სახარატო, სამჭედლო საამქროებმა წლიური დავალება მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციის გახსნის დღეს შეასრულეს. შესანიშნავად იმუშავა სამგზავრო-სავაგონო საამქრომ. საამქროს კოლექტივმა კონფერენციის დამთავრების დღისათვის სამის ნაცვლად 6 იზოთერმული ვაგონი გამოუშვა. ცნობილი მჭედელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კ. ილურიძე, ჩქაროსანი ხარატი ი. ჭუმბურიძე, ზეინკალი შ. კაპანაძე, მექვაბე ი. ბაბაევი, ზეინკალი ა. ზადონსკი, ხარატი ა. ერმოლენკო, დურგალი გ. ზადიკაშვილი და მრავალი სხვა წარმოების ნოვატორები, დგანან რა მშვიდობის ვახტზე, 11 თვეში სამი წლის დავალება შეასრულეს, რითაც თავიანთი წვლილი შეიტანეს მშვიდობის ბურჯის — სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციის მუშაობას გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ქარხნის მთელი კოლექტივი. ახლა კონფერენციის მიმართვას 120-ზე მეტი აგიტატორი აცნობს მუშებს.

საინტერესოდ მოაწყო საუბარი მექანიკურ საამქროში აგიტატორმა მ. მელაძემ. საამქროს მრავალდაზგოსნებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს. ცნობილმა ხარატმა მ. მამაგეიშვილმა პირობა დადო დეკემბრის საწარმოო დავალება ოთხმაგად შეასრულოს. მამაგეიშვილის პატრიოტულ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურნენ საამქროს მუშები. საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა დეკემბერი სტახანოვურ თვედ გამოაცხადოს და დავალება 115 პროცენტით შეასრულოს.

საბარგო-სავაგონო საამქროს მღებავმა უ. ლორთქიფანიძემ განაცხადა:

—ჩვენი საამქრო დიდი ხანია 1952 წლის ანგარიშში მუშაობს. თვითეულ ჩვენგანს კარგად აქვს შეგნებული, რომ გეგმის ზევით შეკეთებული ყოველი ვაგონი მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილია.

სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივს ყოველდღიურად ახალი წვლილი შეაქვს მშვიდობის დაცვის კეთილშობილურ საქმეში. კონფერენციის მიმართვასთან დაკავშირებით ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა 10 დეკემბრისათვის შეასრულოს, სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ორთქლმავლები და ვაგონები მისცეს.

### იწონებენ კონფერენციის მიმართვას

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ოცდაათზე მეტი აგიტატორი აწყობს საუბრებს მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციის მუშაობის შესახებ, მშვიდობის დაცვის მოძრაობის ყველა მონაწილისადმი კონფერენციის მიმართვის შესახებ. ქარხნის პირველ მექანიკურ საამქროში საუბარი ჩაატარა აგიტატორმა ამხ. ლ. გოგიჩაძემ. მან თქვა:

— მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციის მიმართვა გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრსა და გრძნობებს, მის მისწრაფებას — დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა.

საუბრის დამთავრების შემდეგ საამქროს სტახანოველმა ხარატმა ვ. ბაქრაძემ განაცხადა:

— ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს კონფერენციის მუშაობას და ერთსულოვნად ვიწონებთ მის გადაწყვეტილებას. კიროველი დაზგათმშენებლები ჩვენს ხმას ვუერთებთ კონფერენციის დელეგატთა ხმას, დიდი საბჭოთა ხალხის ხმას. სტახანოვური შრომით განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას. ნოემბრის გეგმა 300 პროცენტით შევასრულე, დეკემბერში უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ვიბრძვი.

ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებს მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციის მიმართვას მეორე მექანიკური საამქროს კოლექტივი, რომელმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ნოემბრის გეგმა. საამქროს მუშებს კონფერენციის მასალები გააცნო აგიტატორმა ამხ. ნ. ვარდანაშვილმა. კონფერენციის მიმართვის პასუხად საამქროს მოწინავე სტახანოველებმა აკაკი ცერცვაძემ, პავლე ტილეშევმა და სხვებმა იკისრეს 300 პროცენტით შეასრულონ დეკემბრის გეგმა.

★

### მშვიდობიანი შრომა ჩვენი წინსვლის საფუძველია

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები წარმატებით ამთავრებენ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს. მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 900 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 675 ტონისა. კოლმეურნეობის 4 ბრიგადა მილიონერია. ბრიგადამ, რომელსაც ვლადიმერ თარბა ხელმძღვანელობს, მოკრიფა 120 ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 69 ტონისა. კარგი მიღწევები აქვს ბრიგადებს, რომლებსაც სერიოჟა თარკილი, მახაზ შულუმბა, შაიბ საქანია, რაჰიმ თარკილი, ალექსი არძინბა ხელმძღვანელობენ. კოლმეურნემ მ. არძინბამ წელს 8.675 კილოგრამი ჩაი მოკრიფა.

გაიზარდა ჩვენი კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი. თუ შარშან კოლმეურნეობამ 6,5 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღო, წელს თერთმეტ მილიონ მანეთს მიიღებს, შრომადღეზე განაწილდება 41 მანეთი ფულად და 5 კილოგრამი მარცვლეული.

ჩვენი კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. მ. თარკილის ოჯახმა წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე ავანსად მიიღო 38 ათასი მანეთი. ბევრია ისეთი კოლმეურნე, რომელიც წელს 50 ათასიდან 70 ათას მანეთამდე ფულად შემოსავალს მიიღებს.

მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ჩვენი შემდგომი წინსვლის საფუძველია. ჩვენ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს მშვიდობას, ჩვენს ძალას არ დავიშურებთ მშვიდობის ბურჯის — სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციის მიმართვის პასუხად ვკისრულობთ ვალდებულებას საუკეთესოდ შევასრულოთ ჩაის საზამთრო სამუშაოები და ამით მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

**გრიგოლ არძინბა**
გუდაუთის რაიონის დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი

**ვახტანგ სერგია**
კოლმეურნეობის აგრონომი

**აილიმ თარბა**
ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი

**თემურ თარბა**
მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი

**მარიამ არძინბა**
მერგოლური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

**ნესტორ კვარაცხელია**
სტახანოველი კოლმეურნე

**იური თელია**
კოლმეურნეობის ინჟინერი

## სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად

### ლექციები, მოხსენებები, საუბრები

5 დეკემბრის — სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად თბილისის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტმა გამოჰყო ლექტორთა და მომხსენებელთა ჯგუფი ქალაქის საწარმო-დაწესებულებების, სკოლებისა და ახალმშენებლობების მუშებსა, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს შორის ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების ჩასატარებლად. პარტკაბინეტის კონსულტანტებმა დოცენტმა ი. მრევლიშვილმა, ვ. სიგუამ, ვ. რატიანმა, შ. გულორდავამ მოაწყეს ჯგუფური კონსულტაციები.

საქალაქო პარტკაბინეტის სამკითხველო დარბაზში მოეწყო კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

### გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში

საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში მოწყობილია დიდი გამოფენა, მიძღვნილი სტალინური კონსტიტუციის დღისადმი. გარდა შერჩეული სპეციალური ლიტერატურისა, გამოფენის სტენდებზე წარმოდგენილია მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. მოწყობილია ფოტოილუსტრაციების სტენდი.

### თბილისის ოფიცერთა სახლში

5 დეკემბრის აღსანიშნავად თბილისის ოფიცერთა სახლში მოეწყო დიდი გამოფენა, რომელიც ასახავს საბჭოთა ხალხის დიად შემოქმედებითს შრომას და თავისუფალ ცხოვრებას. გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა მასალა, რაც უნდა გამოიყენონ პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა თავიანთ მუშაობაში.

### ექსკურსიები ავლაბრის ყოფილ არალეგალურ სტამბაში

უკანასკნელ დღეებში მკვეთრად გაიზარდა ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბის მნახველ ექსკურსანტთა რიცხვი. ექსკურსანტთა ჯგუფები მოდიან, როგორც საქართველოს, ისე მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან. მარტო 2 დეკემბერს სტამბა დაათვალიერა 20-ზე მეტმა ჯგუფმა, სულ 1.000-მდე კაცმა.

მნახველთა შორის უმეტესობას პარტიული განათლების ქსელის მსმენელები შეადგენენ.

## ახალი რამ ქალაქების განათებაში

მოსკოვის პამფილოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემიის თანამშრომლებმა შეიმუშავეს ახალი სახეობის აპარატურა ქუჩის განათების ცენტრალიზებული მართვისათვის.

არსებულისაგან, კერძოდ, იმ აპარატურისაგან განსხვავებით, რომელსაც უცხოეთში იყენებენ, ახალ აპარატს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. ამ აპარატით ერთ ადამიანს შეუძლია არა მარტო აანთოს და ჩააქროს შუქი ქალაქის სხვადასხვა უბანში, არამედ კიდევაც მოაწესრიგოს განათების ინტენსივობა ღამის მიხედვით, იყლო თუ იმატა იქ მიმოსვლამ. ეს ელექტროენერგიის 30 პროცენტის დაზოგვის საშუალებას იძლევა. აპარატს აქვს მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად აძლევს სიგნალს დისპეტჩერს, თუ განათების ქსელის რომელიმე სექტორი მწყობრიდან გამოვიდა. (საკდესი).

## საკავშირო თათბირი სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან მხატვრული თარგმნის საკითხთა შესახებ

მოსკოვში ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით 1 დეკემბერს გაიხსნა საკავშირო თათბირი სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან მხატვრული თარგმნის საკითხების შესახებ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მწერლები, მთარგმნელები, ლიტერატურული კრიტიკოსები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის მოადგილემ ა. სურკოვმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს თათბირს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის.

ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების, საბჭოთა ერების კულტურის აყვავებისათვის პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო გაქანება მიეცა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე მხატვრულ ნაწარმოებთა გამოცემას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გენიალური რუსი პოეტის პუშკინის ნაწარმოებნი გამოცემულია 80 ენაზე 60 მილიონამდე ცალად. დიდი ტირაჟით გამოვიდა სსრ კავშირის ხალხთა ბევრ ენაზე თარგმნილი ლერმონტოვის, ტოლსტოის, გორკის, შევჩენკოს, ფრანკოს, ნიზამის, თუმანიანის, რუსთაველის, ალიშერ ნავოის წიგნები.

უნიჭიერესი პოეტის მაიაკოვსკის ლექსები და პოემები 49 ენაზე ითარგმნა. მათი ტირაჟი 17 მილიონ ცალს აღემატება. ფართო პოპულარობა მოიპოვა ფადეევის, ტიხონოვის, სიმონოვის, სტალსკის, ჯამბულის წიგნებმა, რომლებიც მრავალ ენაზე გამოვიდა.

მხატვრულ ნაწარმოებთა გამოცემის რიცხვი წლითიწლობით მატულობს. მარტო 1950 წელს 1.345 სახელწოდების წიგნი დაიბეჭდა სსრ კავშირის ხალხთა 43 ენაზე. ბევრი რომანი და მოთხრობა ითარგმნება ყოველ წელიწადს რუსული ენიდან.

ამხ. სურკოვი შეეხო აგრეთვე მხატვრული ლიტერატურის თარგმნის თეორიის მდგომარეობის, მთარგმნელთა კადრების შერჩევისა და მომზადების საკითხებს. (საკდესი).

## სსრ კავშირის XIX პირველობა ჭადრაკში

### მეთერთმეტე ტური

2 დეკემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო პირველობის მეთერთმეტე ტური.

პირველი დამთავრდა ტერპუგოვ-ბოტვინიკის პარტია. ფრანგულ დაცვაში მსოფლიოს ჩემპიონმა, რომელიც შავებით თამაშობდა, უფრო აქტიური პოზიცია მოიპოვა. ტაქტიკური გართულების ძებნაში ტერპუგოვმა დაიწყო კომბინაცია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონმა პაიკების ენერგიული შეტევით დაარღვია. შემდეგში, ფიგურის აუცილებელი დაკარგვის საფრთხის გამო, ტერპუგოვი მე-19 სვლაზე დანებდა.

ტურნირის ლიდერი ოდესელი ოსტატი გელერი აევერბახის წინააღმდეგ მეტად ფრთხილად თამაშობდა და პოზიციების გამარტივებას დათანხმდა. 30-ე სვლის შემდეგ პარტია ყაიმით დამთავრდა.

სსრ კავშირის ჩემპიონმა კერესმა გეგმაზომიერი თამაშით მატერიალური უპირატესობა მოიპოვა და დაამარცხა ლიპნიცკი. დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა სმისლოვ-ტაიმანოვის პარტიაში. თამაში შეწყდა 30-ე სვლაზე, როცა სმისლოვმა პაიკის შენილბული შეწირვით განახორციელა კომბინაცია, რის შედეგადაც გროსმაისტერს დარჩა ზედმეტი ფიგურა სამ პაიკში. შეწყვეტილ პარტიაში სმისლოვს უპირატესობა აქვს, მაგრამ საჭიროა კიდევ დაძაბული ბრძოლა.

ბონდარევსკიმ, რომელიც თეთრებით ეთამაშებოდა კოტოვს, ძლიერი იერიში განავითარა მეფის ფლანგზე. მაგრამ კოტოვმა მოახერხა მოწინააღმდეგის მუქარის გაქარწყლება. გადადებულ პარტიაში კოტოვს ზედმეტი პაიკი აქვს.

სიმაგინმა კარგი სტილით მოუგო ნოვოტელნოვს. პეტროსიან-ბრონშტეინის პარტია გადაიდო მწვავე პოზიციაში. დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე კოპილოვ-ფლორისა და ართნინ-მოისეევის პარტიები. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

# როცა პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს

ხორბლის უხვმოსავლიანი მიწებით მდიდარია ასპინძის რაიონის სოფელ ოთის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა. ამასთან კოლმეურნეობას აქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების კარგი პირობები: საზაფხულო საძოვრები, სათიბი მდელოები. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობა წლობით ვერ აღწევს თავს ჩამორჩენას. არ სრულდება ხორბლის მოსავლიანობის გეგმა, დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. შარშან ხორბლის საშემოდგომო თესვის გეგმა კოლმეურნეობამ 60 პროცენტით შეასრულა. წელსაც ძლიერ ჩამორჩნენ ამ სამუშაოში. დაუდევრობას იჩენენ პირუტყვის მოვლა-პატრონობაშიც. წელს დაიხოცა 28 სული მსხვილფეხა საქონელი, 33 ცხვარი და 10 სული ღორი. ფერმაში უნდა ჰყავდეთ 450 ფრთა ქათამი, ფაქტიურად 60 ფრთა ჰყავთ.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ჩამორჩენას მუშახელის ნაკლებობით ხსნიან. ნამდვილად ასე არ არის. შემოწმებამ გამოააშკარავა, რომ სასოფლო-სამეურნეო წლის პირველ პერიოდში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 26 კოლმეურნეს, მეორე პერიოდში — 21-ს, ხოლო მესამე პერიოდში — 23 კოლმეურნეს.

როგორ იბრძვის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის? ძლიერ ცუდად. ყველაზე სერიოზული ნაკლი პარტიული ორგანიზაციის მუშაობისა არის ფორმალიზმი. 10 თვის მანძილზე აქ 29-ჯერ მოუწვევიათ პარტიული კრება. მაგრამ პარტიულ კრებებს მეტწილად მოუმზადებლად იწვევენ, არ ხდება განსახილველი საკითხების საფუძვლიანი შესწავლა, ქმედითი ღონისძიებების დასახვა, არ მოწმდება მიღებულ დადგენილებების შესრულება.

ავიღოთ, მაგალითად, მეფრინველეობის მდგომარეობის საკითხი კოლმეურნეობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოლმეურნეობა ჩამორჩება მეფრინველეობის გეგმის შესრულებაში. კერძოდ, ქათმის მოშენების გეგმა მხოლოდ 13,3 პროცენტით არის შესრულებული. ეს საკითხი პარტიულ კრებაზე ორჯერ განიხილეს, მაგრამ იმის გამო, რომ არავითარი არსებითი ღონისძიება არ დაუსახავთ და პრაქტიკულადაც არაფერი გაუკეთებიათ, მდგომარეობა კვლავ უცვლელია. პარტიულმა ორგანიზაციამ ასევე უშედეგოდ ორჯერ განიხილა პირუტყვისათვის საზამთრო საკვების დამზადების საკითხი.

პარტიულმა კრებამ ზერელედ იმსჯელა მეცხოველეობის მუშაკთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხზეც. მომხსენებელს არსებითი არაფერი უთქვამს, მან ჩაასახელა მხოლოდ ორი ჩამორჩენილი მწველავის გვარი.

პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა გატაცებულია კრებების მოწვევით და თითქმის არაფერს აკეთებს კოლმეურნეობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. სრულიად არადამაკმაყოფილებელია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეთა შორის. პარტიული ორგანიზაცია არ ზრუნავს იმისათვის, რომ კოლმეურნეებს ჩაუნერგოს საზოგადოებრივი შრომისადმი სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა.

ცხადია, ეს კოლმეურნეობა ჩამორჩენას თავს ვერ დააღწევს, სანამ პარტიული ორგანიზაცია თავის ამოცანების სიმაღლეზე არ დადგება, სანამ იგი ღრმად არ ჩასწვდება საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა დეტალს, სათანადო პოლიტიკურ მუშაობას არ გაშლის კოლმეურნეთა შორის. ამისათვის კი აუცილებელია პარტიის რაიონულმა კომიტეტმა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება აღნიშნული პარტიული ორგანიზაციისადმი.

**ი. ხარებავა**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის პლენუმი

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მორიგი პლენუმი. რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ი. ფეიქრიშვილის მოხსენება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონის პროკურორმა ი. საძაგლიშვილმა, კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. ჯანგულაშვილმა, დამზადების რაიონულმა რწმუნებულმა ა. ფეიქრიშვილმა, კარდანახის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ბერიანიძემ და სხვებმა, სულ 9 კაცმა.

პლენუმმა ამხ. ი. ფეიქრიშვილი მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ს. ქარლიშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ზავრაშვილი.

# საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის პლენუმმა მოისმინა და განიხილა რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში. მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. სეხნიაშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აბრეშუმძაფსაღები ფაბრიკის დირექტორმა გ. ცხადაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მიქიაშვილმა, კომკავშირის რაიკომის მდივანმა მ. იანვარაშვილმა, რაიონის პროკურორმა თ. ჯაჯანაშვილმა და სხვებმა, სულ ათმა ამხანაგმა.

პლენუმმა ამხ. გ. სეხნიაშვილი მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ი. ფეიქრიშვილი.

# მანქანა-იარაღებს და მუშა-საქონელს სრული დატვირთვით არ იყენებენ

თესვა დამთავრებული არ არის თეთრი წყაროს რაიონში. ამ ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მოუწესრიგებელია შრომა, ძალები მთლიანად არ არის გამოყენებული. მაგალითად, სოფელ დუმანისის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში ასურეთის მტს-ის მეათე სატრაქტორო ბრიგადას საშემოდგომოდ 100 ჰექტარი უნდა მოეხნა და 200 ჰექტარი დაეთესა, ფაქტიურად არც ერთი ჰექტარი არ დაუთესია იმის გამო რომ კოლმეურნეობის გამგეობამ თავი არ შეიწუხა ნამჯისაგან მინდვრის გაწმენდისათვის. ტრაქტორი „დტ-54" თვენახევარია ცდება.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. აქ გეგმით გათვალისწინებული 1.100 ჰექტარიდან დათესილი აქვთ მხოლოდ 652. კოლმეურნეობაში 197 სული მუშაპირუტყვი ჰყავთ, მაგრამ არ იყენებენ. დღემდე არც ერთი ჰექტარი არ მოუხნავთ და არ დაუთესიათ მუშაპირუტყვით. გარდა ამისა, 183 ჰექტარი სახნავ-სათესი ახლაც გაუწმენდავია ნამჯისაგან. აქ ბრიგადებში მთელ ძალებს სიმინდისა და კარტოფილის მოსავლის აღებაზე იყენებენ, თესვა კი დავიწყებულია.

ასურეთის მტს-ის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით. მექანიზატორები თითოეულ ტრაქტორს და სათეს მანქანას სრული დატვირთვით არ იყენებენ. ამის შედეგად მარტო ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში საშემოდგომოდ მოუხნავი აქვთ 300 ჰექტარი, დაუთესავია 350. 8 სათესი მანქანა აქვთ, მაგრამ მთელი სიმძლავრით არ იყენებენ. მაგალითად, პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი ლ. ცაგურაშვილი) ერთ დღეს 4 სათესი მანქანით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 48 ჰექტარისა მხოლოდ 29 ჰექტარი დათესა. თესვის გეგმებს ასევე ვერ ასრულებს მეთორმეტე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი მ. ბოსტანჯიევი), რომელიც ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობაში მეექვსე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. დალაქიშვილი) სათესი მანქანის სრული დატვირთვით გამოუყენებლობის შედეგად დავალებას სანახევროდაც ვერ ასრულებს.

მტს-ის მანქანები ხშირად კარგ ამინდშიც მოცდარია. მაგალითად, 15-16 ნოემბერს თესვისათვის ხელსაყრელი ამინდი იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში პირველ სატრაქტორო ბრიგადას ერთი ჰექტარიც არ დაუთესია, გააცდინა ორი სათესი მანქანა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ნიადაგი დასათესად არ ჰქონდათ მომზადებული.

გეგმის შესრულების დაჩქარებისათვის ზოგან ხარისხს ივიწყებენ. მაგალითად, სოფელ ბორბალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტმა დ. ჩომახაშვილმა 5 ჰექტარი მხოლოდ 12 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნა. ტრაქტორისტმა ი. ნიაზაშვილმა 10 ჰექტარზე ხარისხის დარღვევით შეასრულა კულტივაცია.

ზოგიერთ სატრაქტორო ბრიგადაში შრომის დისციპლინა დაბალია. მესამე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა ა. ბერიაშვილმა ისარგებლა იმით, რომ კონტროლს არავინ უწევდა, კოლმეურნეობის მინდვრებზე მუშაობის ნაცვლად კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთზე სამუშაოდ გადავიდა. სუსტი კონტროლისა და დახმარების შედეგად მტს-ში საერთოდ ხშირია ტრაქტორების უმიზეზოდ გაცდენა. მარტო 1 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე მტს-ის მიზეზით გააცდინეს 114 ტრაქტორ-დღე. მარტო გაცდენილი დღეებით შეიძლებოდა 500-მდე ჰექტარის მოხვნა. ასე უგეგმოდ მუშაობის შედეგად მტს-მა (დირექტორი ს. ლაშხი, მოადგილე პოლიტნაწილში ქ. წულუკიძე, პარტორგანიზაციის მდივანი მ. გურგენიძე) ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.500 ჰექტარისა საშემოდგომოდ დათესა მხოლოდ 4.630 ჰექტარი, აქედან ჯვარედინად 4.500 ჰექტარის ნაცვლად 185 ჰექტარი.

არადამაკმაყოფილებლად ეხმარება კოლმეურნეობებს მანგლისის მტს-ის კოლექტივი (დირექტორი ვ. გოგუაძე). აქაც ვერ მოაწესრიგეს შრომა, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იარაღ-მანქანების სრული დატვირთვით გამოყენებას. ამის შედეგად საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოები ჩაშალეს. გეგმით გათვალისწინებული 1.480 ჰექტარიდან დათესილი აქვთ მხოლოდ 26,7 ჰექტარი, აქედან ჯვარედინად თესვის გეგმა შესრულებულია 5 პროცენტით. სოფელ დიდი თონეთის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც დასათესი ჰქონდათ 250 ჰექტარი, თესვას არ შესდგომიან. მსგავსი მდგომარეობაა მანგლისის კიროვის სახელობის, პრიუტის მოლოტოვის სახელობისა და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

ცალკეულ კოლმეურნეობებში დაივიწყეს მოსავლიანობის გადიდების ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიც არის სასუქების შეტანა. მაგალითად, სოფელ აბრაგეთის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში ხორბლის დასათესად ნიადაგში უნდა შეეტანათ 64 ტონა მინერალური სასუქი, დღემდე კი არც ერთი ტონა არ შეუტანიათ. სასუქების გატანას აჭიანურებენ ახალსოფლის სასოფლო საბჭოში (აღმასკომის თავმჯდომარე ა. უფლისოვი) შემავალი კოლმეურნეობები.

ჩამორჩენაა მზრალად ხვნაშიც. სოფელ ფარცხისის ვოროშილოვის სახელობის, სალრაშენის ორჯონიკიძის, პრიუტის მოლოტოვისა და ამლიევის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში მზრალად ხვნა ჯერაც არ დაუწყიათ. მარტო ასურეთის მტს-ს მოსახნავი აქვს 1.200-მდე ჰექტარი. მანგლისის მტს-ს კი მზრალად ხვნის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 28 პროცენტით.

ხვნა-თესვაში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ.

**შ. ჭოჭუა**
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

# საკდესის ცნობა

ამ დღეებში ამერიკის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა ქალაქ რეშიცის რაიონში დაარღვია რუმინეთის სახელმწიფო საზღვარი, ხოლო მერე, რუმინეთის ტერიტორიაზე ფრენის შემდეგ, ქალაქ დიულას რაიონში დაარღვია უნგრეთის საზღვარი და ცდილობდა ეფრინა უნგრეთის ტერიტორიაზე. მაგრამ როცა იგი უნგრეთში საზავო ხელშეკრულების 22-ე მუხლის შესაბამისად მყოფი საბჭოთა ავიაციის განლაგების ზონაში მოხვდა, საბჭოთა მორიგე ავიაგამანადგურებლებმა აიძულეს დაშვებულიყო აეროდრომზე ქალაქ პაპას რაიონში.

როგორც ეკიპაჟის წევრთა გამოკითხვით გამოირკვა, საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავის მეთაურია კაპიტანი **ჰენდერსონი**, მეორე პილოტია კაპიტანი **სვიფტი**, ბორტმექანიკოსია უფროსი სერჟანტი **დოფე** და რადისტია სერჟანტი **ჯემს ალბერტ-ილამი**. აგრეთვე გამოირკვა, რომ საზღვრის დამრღვევი სამხედრო - სატრანსპორტო თვითმფრინავი შედის ამერიკის მე-12 საჰაერო არმიის 85-ე ჯგუფის შემადგენლობაში.

თვითმფრინავის დათვალიერებით გამორკვეულია, რომ თვითმფრინავს წესიერულ მდგომარეობაში აქვს სანავიგაციო მოწყობილობა, კავშირგაბმულობის საშუალებანი და აპარატურა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თვითმფრინავს იფრინოს ამინდის რთულ პირობებში და ღამით. ყოველივე ეს, აგრეთვე ფრენის მარშრუტის გამოკვლევა და ეკიპაჟის კვალიფიციური შემადგენლობა მოწმობს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რუმინეთისა და უნგრეთის საზღვრების წინასწარგანზრახულ დარღვევასთან, რაც ამერიკის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა გარკვეული მიზნებით ჩაიდინა.

საზღვრების წინასწარგანზრახული დარღვევის მიზანი ნათელი ხდება იმის გაცნობით, რაც ამერიკის თვითმფრინავზე აღმოჩნდა.

დათვალიერების შედეგად თვითმფრინავში აღმოჩნდა:

ა) სსრ კავშირის უმნიშვნელოვანესი რაიონების, მათ შორის უკრაინის სსრ და ვოლგისპირეთის ოპერატიული სამხედრო რუკები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და უნგრეთის რუკები;

ბ) რბილად შეფუთული პორტატიული რადიოსადგური, რომელსაც აქვს მოწყობილობა პარაშუტით დასაშვებად და რომელიც განკუთვნილია არა თვითმფრინავზე მოქმედებისათვის, არამედ საველე პირობებში გამოსაყენებლად;

გ) ექვსი პარაშუტი, ამასთან მათი რაოდენობა და ადგილი, სადაც ისინი ინახებოდა თვითმფრინავში, იმას მოწმობენ, რომ ეს პარაშუტები განკუთვნილი იყო არა ეკიპაჟის წევრთა მიერ გამოსაყენებლად, არამედ სხვა მიზნებისათვის;

დ) რამდენიმე შეკვრა 20 თბილი საბნით, რომლებიც გამზადებული იყო თვითმფრინავიდან ჩამოსაგდებად.

ამერიკის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის მიერ უნგრეთისა და რუმინეთის სახელმწიფო საზღვრების დარღვევის თვით ფაქტი, ამ ქვეყნების ტერიტორიებზე ფრენის ხანგრძლივობა, თვითმფრინავის ტიპი და მისი სადესანტო მოწყობილობა, აგრეთვე აღნიშნული ქვეყნების ოპერატიული რუკების სპეციალური ნაკრები, რაც თვითმფრინავზე აღმოჩნდა, ცხადყოფენ, რომ ეს თვითმფრინავი ამერიკის სამხედრო სარდლობის მიერ გამიზნული იყო დანაშაულებრივი მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჯაშუშებისა და დივერსანტების შემოგზავნასთან.

სავსებით ცხადია, რომ აღნიშნული საგნები არ სჭირდება თვითმფრინავს, რომელიც ასრულებს ნორმალურ ფრენას, მაგრამ მათი არსებობა გასაგები ხდება, როცა თვითმფრინავი ასრულებს ფრენას დანაშაულებრივი განზრახვით, იმ მიზნით, რომ ამერიკის დაზვერვამ ჯაშუშები და დივერსანტები ჩამოუშვას და მოამარაგოს ისინი.

ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრთა განცხადება, რომ ამერიკის სარდლობის მიერ მათთვის მიცემულ მარშრუტში გათვალისწინებული იყო იუგოსლავიაში ჩასვლა. საბჭოთა სარდლობის კომპეტენტური პირების აზრით, იმ ფაქტებისა და გარემოებათა გამორკვევის შედეგები, რომლებიც ამერიკის თვითმფრინავის მიერ უნგრეთის საზღვრის დარღვევას ეხება, ყველა საფუძველს გვაძლევს მტკიცებისათვის, რომ იუგოსლავიაში თვითმფრინავის ჩასვლის მიზანი იყო ამ თვითმფრინავით წამოეყვანათ იუგოსლაველი ჯაშუშები და დივერსანტები, რათა შემდეგში ისინი გადმოესხათ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი მუშაობისათვის.

საკდესის მიერ მიღებული ცნობებით, ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი და მისი ეკიპაჟი, როგორც უნგრეთის ტერიტორიაზე დაშვებული, საბჭოთა სამხედრო სარდლობამ უნგრეთის ხელისუფალთა განკარგულებაში გადასცა.

# უნგრეთში გაუქმდა საბარათო სისტემა

**ბუდაპეშტი,** 2 დეკემბერი. (საკდესი). დღეს უნგრეთის გაზეთები აქვეყნებენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საბარათო სისტემის გაუქმებისა და ფასებისა და ხელფასის მოწესრიგების შესახებ, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თავისუფალი ვაჭრობის დაშვების შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმის წარმატებით შესრულების, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის თავდადებული შრომისა და აგრეთვე წლევანდელი კარგი მოსავლის მეოხებით ამჟამად უნგრეთში გაცილებით უფრო მეტია კვების პროდუქტები და ფართო მოხმარების საქონელი, ვიდრე გასულ წელს. ამასთან დაკავშირებით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება საბარათო სისტემის გაუქმებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თავისუფალი ვაჭრობის დაშვების შესახებ.

დადგენილების თანახმად მიმდინარე წლის 2 დეკემბრიდან შემოღებულ იქნა პურის, ფქვილის, შაქრის, საპნის, რძისა და ერბო-კარაქის თავისუფალი ვაჭრობა.

# მოსახლეობის კინომომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის

★

**გ. კიკნაძე**
საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრი

★

კინო ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ფართო მასებისათვის მისაწვდომი, ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ხელოვნების დარგია. კინოხელოვნება ღრმად შეიჭრა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, იგი ჩვენი ადამიანების ღვიძლ, საყვარელ ხელოვნებად, ხალხის კულტურული განვითარების უმნიშვნელოვანეს ძალად იქცა.

საბჭოთა კინოხელოვნებას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა საბჭოთა ხალხის და საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებისა.

საბჭოთა კინემატოგრაფიის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით კინოფიკაციის ორგანოებს, კინოქსელის მუშაკებს. ვერცერთი საუკეთესო საბჭოთა ფილმი ვერ მიაღწევს თავის მიზანს, ვერ შეასრულებს თავის აღმზრდელობითს როლს, თუ იგი თავის დროზე და ტექნიკურად უნაკლოდ ვერ ვუჩვენეთ მოსახლეობის ფართო მასებს.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა პირობას ქმნიან მოსახლეობის კინომომსახურების გასაუმჯობესებლად. მათი ყოველდღიური ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად საბჭოთა ხელისუფლების წლებში, განსაკუთრებით ომისშემდგომ ხუთწლედში, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა კინოთეატრებისა და მოძრავი კინოდანადგარების ფართო ქსელი, რომელიც აღჭურვილია უახლესი გაუმჯობესებული კინოაპარატურით და დამხმარე ტექნიკური მოწყობილობით.

ამჟამად საქართველოში სახელმწიფო, პროფკავშირული და საუწყებო კინოქსელი აერთიანებს 535 კინოდანადგარს, აქედან სოფლად არის 350 კინოდანადგარი. მათ შორის 212 მოძრავი კინოა. ჩვენს რესპუბლიკაში ახლა იშვიათია ისეთი რაიონი, სადაც 5 და მეტი კინოდანადგარი არ მუშაობდეს.

უკანასკნელ ხანებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველხარისხოვანი კინო-თეატრები, რომლებიც საუკეთესოდ არიან მოწყობილი კინომაყურებელთა კულტურული მომსახურებისათვის. მათ შორის უნდა აღინიშნოს თბილისის საზამთრო და საზაფხულო კინოთეატრები: „ისანი"—26 კომისრის რაიონში, „კოლხიდა"—მოლოტოვის რაიონში, საზაფხულო კინოთეატრი კიროვის სახელობის პარკში (ორჯონიკიძის რაიონი), საზამთრო და საზაფხულო კინოთეატრები ქ. სოხუმში, საზამთრო კინოთეატრი წალენჯიხაში. წელს დამთავრდება კინოთეატრების მშენებლობა ხობსა და საჩხერეში.

გარდა ამისა, უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე მწყობრში შევიდა საზაფხულო კინომოედნები — ცხაკაიაში, ზუგდიდში, დუშეთში, ხაშურში, ბორჯომში, ახალციხეში, სამტრედიაში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, გურჯაანში, მახარაძეში და სხვ.

1949-1951 წლებში დამთავრდა კინოდანადგარების მოძველებული კინოაპარატურის შეცვლა ახალი გაუმჯობესებული აპარატებით. ამ პერიოდში სოფლის კინოქსელს გადაეცა 317 ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის აპარატი, 112 მოძრავი ელექტროსადგური, 167 კომპლექტი გამაძლიერებელი მოწყობილობა, რაც 1948 წლამდე კინოქსელში სრულიად არ არსებობდა.

კინოაპარატურისა და ტექნიკური მოწყობილობის დროზე შესაკეთებლად თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში და სხვაგან მოწყობილია კინოსარემონტო სახელოსნოები და სარემონტო პუნქტები; მუშაობენ აგრეთვე მოძრავი კინოსარემონტო სახელოსნოები.

კინოქსელის მუშაკთა კადრებით უზრუნველსაყოფად თბილისის კინომექანიკოსთა სკოლა სისტემატურად ამზადებს კვალიფიციურ კადრებს: კინომექანიკოსებს და მოტორისტებს.

ამრიგად, საქართველოს კინოქსელს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს მის წინაშე დასახული ამოცანები.

საქართველოს კინოფიკაციის სისტემაში მომუშავეთა უმრავლესობა წარმატებით ასრულებს მოსახლეობის კინომომსახურების გეგმებს. კინოქსელის მოწინავე მუშაკთა შორის აღსანიშნავი არიან მექანიკოსები: ლაგოდეხის რაიონში—გალდავა, ზესტაფონის რაიონში—მურადაშვილი, მახარაძის რაიონში—გეგელია, ლანჩხუთის რაიონში — გაბრიელიანი, ბორჯომის რაიონში — ჩომარიანი, გორის რაიონში — მალაციძე, ბოლნისის რაიონში — ჩაიკოვსკი და სხვ.

რაიონების კინოგანყოფილებათა შორის კარგი მაჩვენებლები აქვთ შემდეგ რაიკინოგანყოფილებათა უფროსებს: მცხეთის რაიონში—ამხ. გელოვანს, მახარაძის რაიონში—ამხ. რამიშვილს, ბორჯომის რაიონში — ამხ. მუხურაძეს, ბოლნისის რაიონში—ამხ. მგალობლიშვილს, გარდაბნის რაიონში—ამხ. მამედოვს, ლანჩხუთის რაიონში — ამხ. გოგიჩაიშვილს, ლაგოდეხის რაიონში—ამხ. ზურიკაშვილს, თელავის რაიონში — ამხ. ლეკიშვილს და სხვ.

ამ მიღწევებთან ერთად მოსახლეობის კინომომსახურების საქმეში, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ნაკლია. ბევრგან კინომუშაკები სათანადო ინიციატივას არ იჩენენ მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებისა და გეგმების შესრულებისათვის. ასეთ მუშაკთა რიცხვს ეკუთვნიან კაჭრეთის რაიონის კინოგანყოფილების უფროსი ციციშვილი, კასპის რაიონში — ლევანიშვილი, თიანეთის რაიონში — გოჯაშვილი, დუშეთის რაიონში — კაზაროვი, სიღნაღის რაიონში — ერემაძე, წალენჯიხის რაიონში—კაკაჩია და სხვ. მათი მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, კინოქსელი მოკლებულია მტკიცე ხელმძღვანელობას. ის წესი, რომ თვეში 2-3-ჯერ მაინც გაუწიონ კინომომსახურება ყოველ სოფელს, ამ რაიონებში არ სრულდება. ბევრია ისეთი სასოფლო საბჭო, სადაც წელს ერთხელაც არ უჩვენებიათ კინოსეანსი. მაგალითად, ხეობის, ქინვალისა და მლეთის სასოფლო საბჭოები დუშეთის რაიონში; ფუტიეთისა და ცახის საბჭოები — ამბროლაურის რაიონში, ვაქირის საბჭო—სიღნაღის რაიონში, აგრეთვე მთელი რიგი სასოფლო საბჭოები ბოგდანოვკის, აბაშის, კაჭრეთის, კასპის, ვანის, ხობისა და სხვა რაიონებში. ამ რაიონებში კინოგანყოფილებათა უფროსები არ გეგმავენ სასოფლო საბჭოების კინომომსახურებას, კინომექანიკოსებს ყოველთვის არ ეძლევათ დამტკიცებული მარშრუტები და კინოსეანსებს თავიანთი შეხედულებით აწყობენ. ყოველივე ამის გამო ამ რაიონებში გეგმებიც არ სრულდება.

ამას გარდა, მთელ რიგ რაიონებში მოძრავი კინოდანადგარებისათვის განკუთვნილ ავტომანქანებს ხშირად დანიშნულებისამებრ არ იყენებენ, უნშად ეკიდებიან და ნაადრევად გამოჰყავთ ისინი მწყობრიდან. ხშირია აგრეთვე კინოსეანსებზე უბილეთოდ დასწრების შემთხვევები, რაც ზოგჯერ 30 პროცენტს აღემატება.

მიუხედავად კარგი ტექნიკური ბაზისა, კინოჩვენებისა და მისი პროექციის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. კინოაპარატურას სათანადოდ არ უვლიან.

უეჭველია, ეს ნაკლოვანებანი კინოქსელის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში აიხსნება იმით, რომ კინოფიკაციის სამმართველო სუსტად ხელმძღვანელობდა ამ რაიონების კინოქსელს, არ უწევდა სათანადო კონტროლს მის მუშაობას, არ იღებდა საჭირო ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ადგილობრივი რაიონული ხელმძღვანელი ორგანოები ნაკლებად იბრძოდნენ კინოქსელის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კინოფიკაციის ორგანოების წინაშე დასახულია სერიოზული ამოცანები. პარტია და მთავრობა ჩვენგან მოითხოვენ მოსახლეობის კინომომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, განსაკუთრებით სოფლად. ამისათვის განზრახულია კინოთეატრებისა და საზაფხულო კინომოედნების მშენებლობის ფართოდ გაშლა და მოძრავი ავტოკინოდანადგარების რაოდენობის მნიშვნელოვნად გადიდება.

კინოქსელის შემოსავლის გეგმების შესასრულებლად საჭიროა მოიმატოს კინოქსელის დატვირთვამ და შემოღებულ იქნას მუშაობის ახალი რეჟიმი: სტაციონარულ კინოდანადგარებზე რაიონულ ცენტრებში, არანაკლებ 22 დღისა თვეში, სტაციონარულ კინოდანადგარებზე სასოფლო დასახლებულ პუნქტებში — არანაკლებ 12 დღისა თვეში. სასოფლო მოძრავი კინოების უფრო ეფექტიურად გამოყენების მიზნით წელს დამატებით 50 საჭაპანო მოძრავი კინო გადაყვანილია ავტომანქანებზე. ქალაქებსა, რაიონულ ცენტრებსა და კოლმეურნეობებში სათანადოდ უნდა გაძლიერდეს კინოთეატრებისა და საზაფხულო კინომოედნების მშენებლობა.

გეგმების გადაჭარბებისათვის დადგენილია ახალი პრემიალური სისტემა: სასოფლო კინოდანადგარების ზეგეგმითი შემოსავლის მთელი წმინდა ამონაგების (გადასახადის, გაქირავების საფასურის და დამატებითი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების გამოკლებით) 45 პროცენტი გადაეცემა სტაციონარული კინოდანადგარებისა და მოძრავი კინოების მუშაკთა დასაჯილდოებლად და 40 პროცენტი იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც დაუთმეს შენობა კინოსეანსებისათვის, და იმ პირთა დასაჯილდოებლად, რომლებიც ხელს უწყობდნენ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. ეს ღონისძიება გააძლიერებს სოფლის კინოქსელის მუშაობას, კინოსაგან შემოსავლის ზრდას.

1952 წლის 1 იანვრიდან სოფლის კინოქსელისათვის კინოს გადასახადის 25 პროცენტი სასოფლო საბჭოს ბიუჯეტში გადაირიცხება. ეს სტიმულს მისცემს სასოფლო საბჭოებს უფრო მტკიცე კონტროლი დააწესონ სოფლის კინოდანადგარების მუშაობისადმი.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან სისტემატურად შეამოწმონ, თუ რამდენად სწორად იყენებენ ავტომანქანებს კინოფიკაციის ორგანოები, არ დაუშვან მათი ექსპლოატაცია სამუშაოებზე, რაც დაკავშირებული არ არის მოსახლეობის კინომომსახურებასთან. რაიონული საბჭოების აღმასკომებს აგრეთვე ევალებათ განიხილონ და დაამტკიცონ სასოფლო საბჭოებში კინოსეანსების ჩვენების მტკიცე გრაფიკები, უზრუნველყონ ამ გრაფიკების განუხრელად შესრულება; მიამაგრონ დასახლებულ პუნქტებში მუდმივი, კინოს ჩვენებისათვის გამოსადეგი შენობები დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით.

გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ კინოდანადგარების გაცდენის ლიკვიდაციისა და კინოს ჩვენების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს რაიონულ ცენტრებში და სოფლად კინოფილმების რეკლამირების საქმე.

ჩვენი პარტია და მთავრობა მუშაობის შესანიშნავ პირობებს უქმნიან კინოორგანოებს. ეს პირობები უზრუნველყოფენ მოსახლეობის კინომომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას. ახლა ამოცანა ის არის, რომ კინემატოგრაფიის სამინისტრომ, რაიაღმასკომებმა და კინოორგანოებმა ბოლშევიკურად იბრძოლონ ამ დადგენილებებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებათა განუხრელად შესრულებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან კინოფიკაციის განყოფილებათა შექმნა და მთელი რაიონული კინოქსელის მათდამი დაქვემდებარება უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა. ეს ღონისძიება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივ რაიონულ ორგანოებს კინოქსელის მუშაობისათვის და კინოფიკაციის ორგანოების მიერ საექსპლოატაციო და საფინანსო გეგმების შესრულებისათვის.

მშრომელთა ფართო მასების გეგმიანი და სისტემატური კინომომსახურება დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა. ეჭვი არ არის, რომ კინოფიკაციის მუშაკები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დახმარებით ღირსეულად შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

კომუნისტი



# ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა!

„დაე კვლავაც განმტკიცდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე გარანტიას წარმოადგენს!“

**ი. ბ. სტალინი**

გო მო-ჟო

## გაუმარჯოს სტალინს!

(ნაწყვეტი პოემიდან)

კაცობრიობის წინამძღოლო, ძვირფასო სტალინ!
როგორც პოეტი, ქვეყნის გრძნობის გამომსახველი,
მე თქვენ გიმღერით მთელი გულით, ხმის მთელი ძალით
ჩემი ჩინეთის ბედნიერი ხალხის სახელით.

თქვენი ამაგი საუკუნოდ ჩვენ გვეხსომება,
თქვენგან მივიღეთ იმედი და აღფრთოვანება.
თქვენი სიცოცხლე იმ საზომით გაიზომება,
რითაც ზომავენ ვარსკვლავთა და მზის ხნოვანებას.
ველარა შეძლონ ველარც სივრცემ და ვერცა დრომა
თქვენი უკვდავი სიდიადის გარშემოწვდომა.

მთანი მაღალნი თქვენი სიტყვით იცვლიან ადგილს,
გამშრალ უდაბნოს აყვავების ძალა აჩუქეთ.
იმ სინათლისგან, თქვენ რომ ჩვენთვის გამოაშუქეთ,
ახალგაზრდული მოგვევლინა სითბოც და მადლიც.
მიწას ახარებს თქვენი სიბრძნის მზეებრ ანთება,
კაცობრიობა ერთ ოჯახად ერთიანდება.

მასწავლებელო! საყვარელო ადამიანო!
თქვენ უკვდავი ხართ, როგორც მარქსი, როგორც ენგელსი,
თქვენ ლენინივით უკვდავი ხართ, სახელმზიანო,
დიდო ბელადო, საყვარელო ადამიანო!
ეს შეძახილი მზესა სწვდება წითელ ალმებად,
დიდი ჩინეთი მთელი გულით მოგესალმებათ!

თარგმნა **ალექსანდრე აბაშელმა**

ხუ ფენი

## სიხარულის ჰიმნი

(ნაწყვეტები პოემიდან)

დგას ტრიბუნაზე, ვით კუნძულზე, ამ ხალხის ზღვაში
მაო ძე-დუნი—ტაიშანის კლდისგან ნათალი.
ტაში გუგუნებს, გამარჯვებას გუგუნებს ტაში,
ჩინეთს მიმართავს მისი შვილი, მისი სარდალი.

მაღალი შუბლი მას მიუგავს ვლადიმერ ლენინს,
ჭკვიანი შუბლი სიბრძნის ხაზით ორად იყოფა,
და ნებისყოფა მხედართმთავრის — სიმტკიცე ჩვენი —
ჰგავს თვით სტალინის გაუტეხელ მძლე ნებისყოფას.

დიდი მოწაფე მისი დიდი მასწავლებლების
ხალხს ესალმება სიყვარულით და გახარებით,
მშობლიურ სახეს შეჰყურებენ მთებიც, ველებიც,
მშობლიურ სახეს შეჰყურებენ ჩვენი თვალები.

მდინარეებიც მას უმზერენ. არის თქმულება:
იგი კლდეებზე დაკიდებულ მგრგვინავ ჩანჩქერებს
ბრძანებას აძლევს შეიცვალონ მიმართულება,—
იარონ იქით, საითკენაც ხელით აჩვენებს...

ოდესღაც დანტემ ჯოჯოხეთის კარს დააწერა:
„თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დასტოვეთ ყველა!“
დღეს ჩემი ქვეყნის პოეტმა და ბელადმა ერთად —
მაო ძე-დუნმა თავისუფალ ჩინეთის კარზე,
გასახარებლად ხალხისა და თავზარად მტერთა,
ოქროს სიტყვებით სამუდამოდ დაწერა ასე:
— ყველა ის, ვინც კი ოცნებობდა ახალზე მარად,
მოვიდეს ჩქარა —
თქვენ აქ მოგელით ყველა წმინდა ოცნება თქვენი,
იარეთ რწმენით!

უკვდავი დანტეც ვერ შექმნიდა სიმღერას ამგვარს,
თუმცა არ აკლდა მას სიუხვე აზრის, ფერების,
უკვდავი დანტეც ვერ შექმნიდა, გჯეროდეთ, რადგან
მას არ შეეძლო ეთქვა ჰიმნი ბედნიერების!

* * *

ჩემო ჩინეთო! შენს მხურვალე მკერდს ჩახვეული,
მეც შენს უბედო ბედს ვიყოფდი ტანჯვით, წვალებით,
ვიყავ ჩაგრული, ვიყავ სუსტი, ვიყავ ეული,
ვიყავ და არ ვარ. უკვე გავთბი მზის ბრწყინვალებით.
შენ ხელმეორედ დაიბადე და ახლაც, ხედავ?—
მე ისევ ვტირი ამ საყვარელ მიწაზე მდგარი,
დიახ, მე ვტირი, მაგრამ ჩემს გულს არ აკრთობს სევდა,
ჩემი ცრემლები სიხარულის ცრემლები არის!

თარგმნა **ხუტა ბერულავამ**



სურათზე: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიტერატურის მოღვაწეთა დელეგაცია თბილისის ვაგზალზე.
ფოტო რ. აკოფოვისა

„ჩინელებმა მარქსიზმი შეიძინეს რუსების მიერ მისი გამოყენების შედეგად. ოქტომბრის რევოლუციამდე ჩინელებმა არ იცოდნენ არა მარტო ლენინი და სტალინი, არამედ აგრეთვე არ იცოდნენ მარქსი და ენგელსი. ოქტომბრის რევოლუციის ქვემეხთა ზალპებმა მარქსიზმ-ლენინიზმი მოგვიტანეს. ოქტომბრის რევოლუცია მსოფლიოსა და ჩინეთის პროგრესულ ელემენტებს დაეხმარა პროლეტარული მსოფლმხედველობა გამოეყენებინათ ქვეყნის ბედის განსაზღვრისა და საკუთარი პრობლემების გადასასინჯავად. რუსების გზით წასვლა — ასეთი იყო დასკვნა“.

**მაო ძე-დუნი**

## ჩინეთის ლიტერატურის მოღვაწენი სტუმრად ქართველ მწერლებთან

გუშინ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს ეწვიენ ჩინეთის ლიტერატურის მოღვაწენი, რომელთაც გულთბილი შეხვედრა მოუწყო დედაქალაქის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ს. ჭილაიამ.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესახებ სტუმრებს ესაუბრნენ მწერლები: სტალინური პრემიის ლაურეატი გრიგოლ აბაშიძე, მიხეილ მრევლიშვილი, შალვა აფხაიძე, გერონტი ქიქოძე.

ჩინელი პოეტების ნაწარმოებთა ქართული თარგმანები წაიკითხეს პოეტებმა ალექსანდრე აბაშელმა, ხუტა ბერულავამ, მაყვალა მრევლიშვილმა და ვახტანგ გორგანელმა. ჩინელი ხალხისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა რევაზ მარგიანმა.

თავის საპასუხო სიტყვაში დელეგაციის ხელმძღვანელმა ჩინელმა მწერალმა ფინ სიუე-ფინმა მხურვალე მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის და ქართველ მწერლებს გადასცა ძვირფასი საჩუქრები: კაცობრიობის დიდი ბელადების მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაქარგი პორტრეტები და ჩინელი ხალხის დიდი ბელადის მაო ძე-დუნის სურათი, აგრეთვე ჩინელ მწერალთა ნაწარმოებნი და ჩინელი სახალხო ოსტატების მიერ შესრულებული ფაიფურის სერვიზი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით სტალინური პრემიის ლაურეატმა სანდრო შანშიაშვილმა სტუმრებს გადასცა მაკეტი სახლისა, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა კაცობრიობის დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა, აგრეთვე ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი.

## მშვიდობის მტკიცე საწინდარი

★

**ფინ სიუე-ფინი**

ჩინეთის ლიტერატურის მოღვაწეთა დელეგაციის ხელმძღვანელი

★

საქართველოში ჩამოსვლამდე ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ გმირული წარსულის მქონე, შემოქმედ ქართველ ხალხს უძველესი კულტურის ტრადიციები აქვს.

ჩვენ ვიცოდით აგრეთვე, რომ საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უდიდესი აღმავლობა განიცადა, როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ისე კულტურის დარგში. აქ ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ უდიდესი წარმატებანი. ჩინელმა ხალხმა იცის, რომ საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში საქართველოს მზიურ რესპუბლიკას უწოდებენ.

და ჭეშმარიტად სამართლიანად უწოდებენ ასე!

ცნობილია, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის წინათაც არსებობდა კულტურული კავშირი, მაგრამ ამჟამად იგი კიდევ უფრო განმტკიცდა. ეს ძალიან სასიხარულო და მნიშვნელოვანი მოვლენაა. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი მეგობრობა უდიდესი ძალაა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად, ხოლო კულტურული კავშირი ჩვენს ხალხებს შორის ამ მეგობრობის განმტკიცების შესანიშნავი საშუალებაა.

## ჩვენი სალამი ჩინელ მეგობრებს*

საბჭოთა საქართველოს მწერლებისა და ინტელიგენციის სახელით მოგესალმებით თქვენ, დიდი ჩინეთის, სახალხო ჩინეთის წარმომადგენლებს.

ამჟამად თქვენ იმყოფებით საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში, რომელიც წარსულში საუკუნეების მანძილზე შემოსეულ მტერთაგან არაერთხელ ყოფილა ცეცხლს მიცემული და დანგრეული. მას არ ჰქონია მშვიდი ცხოვრება, სანამ არ აღმობრწყინდა დიადი ოქტომბრის მზე...

თქვენ, უთუოდ, დაათვალიერებთ ჩვენს ქვეყანას და ნახავთ განსაცვიფრებელ მიღწევებს, რასაც ვერ ნახავდით ამ ოცდაათი წლის წინათ. ეს მოხდა ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით, მისი დაუღალავი შრომით და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით.

ქართველმა ხალხმა, რომელიც დღეს კეთილი გულით, ნამდვილი ზეიმით გეგებებათ, — იცის თქვენი საყვარელი ბელადის მაო ძე-დუნის სიტყვები: „ოქტომბრის რევოლუციის ქვემეხთა ზალპებმა ჩვენ მარქსიზმ-ლენინიზმი მოგვიტანეს“. დიახ, მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მეთაურობით, თქვენ მოიპოვეთ გამარჯვება და თავისუფლება.

თქვენმა ხალხმა ამ ოცდაათი თუ უფრო მეტი წლის განმავლობაში მრავალი განსაცდელი ნახა, დიდი ბრძოლები გადაიტანა და ბოლოს მაინც „კეთილმა სძლია ბოროტს“. და ჩვენ, ქართველებს გვახარებს, რომ თქვენი სამშობლო მიდის წინ, აღმავლობის გზით, სოციალიზმისაკენ.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩინეთი, მართალია ჩვენგან შორს არის ტერიტორიულად, მაგრამ ძალიან ახლოა ჩვენთან თავისი მიზნებით, ახალი ცხოვრების შექმნის სურვილებით და იმ ბრძოლის მეთოდებით, რაც გზას უკაფავს უკეთეს მომავალს.

ქართველი საბჭოთა მწერლები და ინტელიგენცია გულთბილად მოგესალმებიან და მზად არიან „გული მოგცენ გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ თქვენთან ერთად და თქვენ ჩვენთან ერთად მუდამ გამარჯვებული ვიქნებით და „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დედამიწა დასამალად გადაეფაროს!“

კეთილი იყოს თქვენი აქ მოსვლა და ჩვენი დახვედრა.

გაუმარჯოს მაო ძე-დუნს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

**სანდრო შანშიაშვილი**

სტალინური პრემიის ლაურეატი

*) სიტყვა წარმოთქმული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიტერატურის მოღვაწეთა დელეგაციასთან შეხვედრისას.

## თავისუფალი ჩინელი ხალხის სამსახურში

ორ წელზე მეტი გავიდა, რაც დიდმა ჩინელმა ხალხმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა რეაქციული გომინდანისა და ამერიკის იმპერიალიზმის გაერთიანებულ ძალებზე. 1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად და შეიქმნა ჩინეთის სახალხო ცენტრალური მთავრობა. მსოფლიო იმპერიალიზმმა სასტიკი მარცხი განიცადა. მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს შეუერთდა ჩინეთი, რომლის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის ერთ მეოთხედს შეადგენს.

სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება ჩინეთში ნიშნავს ახალი, დიადი ეპოქის დაწყებას დიდი ჩინელი ხალხის ცხოვრებაში. ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის მაო ძე-დუნის მეთაურობით მშრომელები შეუდგნენ ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობას. ამ საქმეში თავისი დიდი და საპატიო წვლილი შეაქვთ ჩინეთის ლიტერატურის წარმომადგენლებსაც.

ჩინეთის ახალი ლიტერატურა აღმოცენდა და გამოიწრთო იმ სამართლიან ომში, რომელსაც ჩინელი ხალხი კომუნისტური პარტიის მეთაურობით გმირულად აწარმოებდა ათეული წლების განმავლობაში ფეოდალურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩინეთის მოწინავე მწერლები აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავიანთი მხატვრული ნაწარმოებებით ისინი დიდად ეხმარებოდნენ მშრომელებს ჩინეთის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მოუწოდებდნენ მათ დარაზმულიყვნენ კომუნისტური პარტიის გარშემო. დღეს ისინი ჩინელ ხალხს შრომითი გმირობისაკენ მოუწოდებენ. ჩინელი მწერლები არა მარტო ასახავენ მშრომელების ცხოვრებას, არამედ რაზმავენ მასებს და მათ შორის აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან.

სახალხო-დემოკრატიულ ჩინეთში ლიტერატურა მშრომელებს ემსახურება. ჩინელ მწერლებს მუდამ ახსოვთ მაო ძე-დუნის სიტყვები: „მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკვე იყავით ხალხის მოწაფედ, შეგიძლიათ გახდეთ მის მასწავლებლად“. გამოჩენილი ჩინელი მწერალი დინ ლინი ამბობს: „ჩვენი მიზანია არა მარტო ვასწავლოთ ხალხს, არამედ, უმთავრესად, ვისწავლოთ ხალხისაგან. ხალხთან მუდმივი ურთიერთობის გარეშე, ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნის გარეშე არ შეიძლება შეიქმნას ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები“. პოეტი აი ცინი წერილში „შეხედულება ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთ საკითხზე“ აღნიშნავს: „ნამდვილად რომ გაიგო მასების ცხოვრება, ამისათვის საჭიროა მხურვალედ შეიყვარო მათი ცხოვრება, მხურვალედ შეიყვარო მასების ცხოვრება და ბრძოლა, ისწავლო ცხოვრებისაგან“. ლიტერატურა მძლავრი საბრძოლო იარაღია დიდი ჩინელი ხალხის ხელში, რომელიც თავისთვის ახალ ცხოვრებას, ახალ კულტურას ქმნის: „ახალი დემოკრატიის კულტურა, — ამბობს მაო ძე-დუნი, — ეს არის ხალხთა მასების კულტურა; ასეთი კულტურა ემსახურება მშრომელ მასებს, რომლებიც მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენენ. ეს კულტურა მათი კუთვნილება უნდა გახდეს“.

ახალი ჩინური ლიტერატურის ჩამოყალიბებაზე დიდი და სასარგებლო გავლენა იქონია საბჭოთა ლიტერატურამ, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურამ. საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი, რევოლუციის პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი მაგალითის მიმცემნი იყვნენ მოწინავე ჩინელი მწერლებისათვის. ცნობილი ჩინელი საზოგადო მოღვაწე გო მო-ჟო, აღნიშნავს რა, რომ მაქსიმ გორკის გავლენა ჩინელ მწერლებზე სცილდება ჩვეულებრივი ლიტერატურული გავლენის ფარგლებს, ამბობს: „...მწერლები სწავლობენ გორკისაგან ცხოვრებასა და შემოქმედებას. ჩვენ გორკისაგან ვგებულობთ, არა მარტო იმას, თუ როგორ უნდა ვწეროთ და რაზე ვწეროთ, არამედ აგრეთვე ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ და როგორები უნდა ვიყოთ“. რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ცნობილი მთარგმნელი ჩინურ ენაზე გე ბაო-ციუანი აღნიშნავს, რომ „ჩინელი ხალხი ხედავს მაიაკოვსკიში თავის ყველაზე ერთგულ და ახლო მეგობარს“. ჩინეთში დიდი პოპულარობით სარგებლობენ მ. შოლოხოვის, ა. ფადეევის, ა. ტოლსტოის, ა. სერაფიმოვიჩის, ლ. ლეონოვის, ნ. ტიხონოვის, ვ. კატაევის, ტ. ბედნის და სხვათა ნაწარმოებნი.

სახალხო-დემოკრატიული ჩინეთის ლიტერატურის მთავარ გმირებად გახდნენ უბრალო ადამიანები, ხალხის შვილები — გლეხები, მუშები, ჯარისკაცები. მუშებისა და გლეხების გმირული შრომა, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ლეგენდარული გმირობა, ჩინელი ახალგაზრდობა ახალი ცხოვრების მშენებლობაში, მეგობრობა სოციალიზმის დიდ ქვეყანასთან, ბრძოლა მშვიდობისათვის — აქეთია ძირითადად დღეს ჩინური ლიტერატურის თემატიკა. ჩინურ ლიტერატურაში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს სოფლად მომხდარი რევოლუციური ცვლილებების მხატვრულად ასახვას. ვან სიძიანის ლექსთა კრებული „აღორძინების სიმღერები“, პოემები ლი ბინის „ჯაო პიაო-ერ“, ტიან ძიანის „ეუნ გუან-სიუ“, თუან ჯან-ძინის „მდინარე ჯანხეს წყლები“ და სხვები გვიამბობენ სიხარულის იმ დიდ გრძნობებზე, რაც ჩინელ გლეხობაში გამოიწვია აგრარულმა რეფორმამ. მუშათა კლასის ცხოვრების აღწერა სიახლეს წარმოადგენს ჩინეთის მხატვრული ლიტერატურისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსების კრებული: „ფოლადის ხელები“, ლექსები: „ფიქრები“, „მაო ძე-დუნის სახელობის“ და სხვ. ჩინელი მწერლების წინაშე დგას დიდი და საპატიო ამოცანა — შექმნან ფართო მხატვრული ტილოები ჩინეთის მუშათა კლასის ცხოვრებაზე. ჩინელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ემი სიაო ამბობს, რომ რევოლუციური ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ახლა მთელი თავიანთი ძალებით უნდა ემსახურებოდნენ მუშებს, მხატვრულად უნდა ასახონ მუშათა კლასის რევოლუციური გმირობისა და შრომითი აქტივობის მაგალითები, უნდა გვიჩვენონ ჩინეთის მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში.

ჩინეთის მწერლები თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში გვიჩვენებენ ახალ ადამიანებს, მათში ახალი შეგნების გაღვიძებას, მათს შრომით გმირობას. ჩინურ ლიტერატურაში დიდი ადგილი უჭირავს კომუნისტის სახის ჩვენებას. ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვებები მოპოვებულია გმირულ ბრძოლაში კომუნისტური პარტიის მეთაურობით. კომუნისტი ჩინელი ახალი ადამიანის სიმბოლოა. ჩინეთში დიდად ცნობილია ვან სიუე-ბოს ლექსი „უკომუნისტებოდ არ არის ჩინეთი“. პოეტი ამბობს: „კომუნისტი ხალხის მსახურია. კომუნისტი არ ინდობს მტრებს. გამარჯვების გზა ჩვენ კომუნისტებმა გაგვიხსნეს. უკომუნისტებოდ არ არის ჩინეთი!“.

ჩინურ ლიტერატურაში დიდი ადგილი უჭირავს მშვიდობისათვის ბრძოლის თემას. ჩინელ ხალხს მშვიდობა სჭირდება. იგი მშვიდობისათვის იბრძვის. ჩინელი პოეტების ლექსებში „ხელს ვაწერ მშვიდობის მოწოდებაზე“, „ადექით, აზიის ხალხებო“, „აზიის ხალხების ბაღში“, „მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში“, „კორეელ ხალხს“, „ვაწერ მშვიდობის მოწოდებაზე“, „ჩემი ხელმოწერა მშვიდობისათვის“ და სხვ. გამოხატულია დიდი ჩინელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება ბოლომდე დაიცვას მშვიდობის კეთილშობილური საქმე.

ჩინელი მწერლები რევოლუციური სიფხიზლისაკენ მოუწოდებენ ხალხს, ისინი ულმობლად ამხილებენ ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც აგრესიულ ომს ეწევიან მამაცი კორეელი ხალხის წინააღმდეგ და ომით ემუქრებიან ჩინეთს. პოეტი ფან-ტო ლექსში „ამერიკელი მკვლელი“ ამბობს, რომ ამერიკის აგრესიული იმპერიალიზმი კორეელი, ჩინელი, ამერიკელი და სხვა ხალხების დაუძინებელი მტერი და სისხლის მსმელია.

თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს ჩინელი მწერლები უძღვნიან ჩინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცების დიად საქმეს. ეს მეგობრობა, როგორც ამხანაგმა სტალინმა თქვა, „შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე გარანტიას წარმოადგენს“. ჩინელი პოეტები თავიანთ ლექსებში განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობით ხატავენ ჩინელი ხალხის დიდი მეგობრის, მსოფლიოში მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის სახეს. დიდი სითბოთი და სიყვარულით არის დაწერილი ჩინელი პოეტების ლექსები დიდ სტალინზე: აი ცინის „საჩუქარი სტალინს“, გო მო-ჟოს „გაუმარჯოს სტალინს“, ემი სიაოს „სიმღერა სტალინზე“, იან ჩენის „ყველაზე ძვირფასი ჩვენი ამხანაგი“ და სხვ. პოეტი ლიუ ძიანი ლექსში „შენ თვითონ უკვდავება ხარ“ ასე მიმართავს დიდ სტალინს:

„მშრომელთა მხსნელო ვარსკვლავო,
დროშავ ბრძოლის და წინსვლის,
რა მოგიტანო ნობათად
შენი დიდების ღირსი?
მე მომაქვს მხოლოდ სიმღერა,
რაც კიდით-კიდე ისმის:
„მშვიდობის დიდი ბანაკი
ფოლადის ნებით შექმენ,
მიტომაც ჩვენი თვალები
მოპყრობილია შენსკენ.
შენი დიადი დროშის ქვეშ
მილიონები დგანან,
და როგორც თავისუფლებას,
შემოგყურებენ, მამავ!“

თანამედროვე ჩინეთის მწერლობა თავისუფალი ჩინეთის სამსახურშია. იგი მჭიდროდ დაკავშირებულია თავის ხალხთან და მის ინტერესებს გამოხატავს. დიდი ჩინელი ხალხის მნიშვნელოვანი მიღწევები ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის გზაზე ჩინეთის ლიტერატურის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების საწინდარია.

**ბივი მელაძე**

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

## დისკუსიის გაგრძელება პოლიტიკურ კომიტეტში

**პარიზი**, 30 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე გამოსულმა ინდოეთისა და მექსიკის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ არავითარ რეზოლუციას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის საკითხზე არ შეიძლება ჰქონდეს პრაქტიკული ღირებულება, თუ მას მხარს არ დაუჭერს ყველა დიდი სახელმწიფო. ამასთან დაკავშირებით მათ მხარი დაუჭირეს ერაყის, სირიისა და პაკისტანის დელეგაციების წინადადებას იმის შესახებ, რომ ოთხი დიდი სახელმწიფოს (სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის) წარმომადგენელთაგან შეიქმნას ქვეკომიტეტი, რომელიც განსახილველი საკითხის შესახებ შეიმუშავებს წინადადებებს ურთიერთმისაღებ საფუძველზე.

წინადადებას ქვეკომიტეტის შექმნის შესახებ მხარი დაუჭირეს მთელმა რიგმა სხვა ორატორებმაც, რომლებიც დღის სხდომაზე გამოვიდნენ. მაგრამ ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, ჰოლანდიის, საბერძნეთის, ჩილისა და თურქეთის დელეგატები ქებას ასხამდნენ სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს შეიარაღების შემცირებისა და ატომური ომის თავიდან აცილების პრობლემის ნამდვილ გადაწყვეტასთან, და ცდილობდნენ წარმოედგინათ ეს პროექტი როგორც სათანადო საფუძველი შეთანხმებისათვის. ეს დელეგატები თავმომაბეზრებლად იმეორებდნენ სამი სახელმწიფოს წინადადებათა დასაცავად მთელ ყალბ არგუმენტაციას, რომელსაც მიმართეს მათმა ავტორებმა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა სეკანინოვამ, რომელიც ხელმეორედ გამოვიდა საერთო დისკუსიაში, ცხადყო, რომ სამი სახელმწიფოს წინადადებანი არ შეიცავენ არავითარ კონკრეტულ და ქმედით ღონისძიებებს, რომელთაც შეეძლოთ ნამდვილად შეამცირონ შეიარაღება. ეს წინადადებანი ამავე დროს სრულიად არ ითვალისწინებენ ატომური იარაღის აკრძალვასა და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის შექმნას.

სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს, თქვა სეკანინოვამ, მიზნად აქვს ყალბი ფრაზეოლოგიით დაფაროს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნების განზრახვა—განაგრძონ მათ მიერ წარმოებული გამალებული შეიარაღება, რაც მათი აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. შეეხო რა რეზოლუციის ამ პროექტის შესწორებებს, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ შემოიტანა, სეკანინოვამ აღნიშნა, რომ ამ შესწორებათა მიზანია ნამდვილად განხორციელდეს ის ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, შეიარაღების ფაქტიური შემცირებისათვის, ატომური იარაღის დაუყონებლივ აკრძალვისათვის და ამ აკრძალვისადმი სასტიკი, ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებისათვის.

— აი რატომ არის, — თქვა სეკანინოვამ, — რომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია სავსებით უჭერს მხარს ამ შესწორებებს.

უპასუხა რა დიდი ბრიტანეთის დელეგატს ლოიდსა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატს ჯესეპს, რომლებიც თავიანთ სიტყვებში „ურჩევდნენ" ჩეხოსლოვაკიას გაეხსენებინა თავისი ისტორია პოზიციის განსაზღვრის დროს, სეკანინოვამ თქვა:

— ჩეხოსლოვაკიის ხალხს კარგად ახსოვს თავისი ისტორია. მას ახსოვს, რომ ჰიტლერთან და მუსოლინისთან დასავლეთ სახელმწიფოთა მიუნხენის შეთანხმების პერიოდში მხოლოდ საბჭოთა კავშირი იდგა ჩეხოსლოვაკიის ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე. საბჭოთა კავშირმა იხსნა ჩეხოსლოვაკია ჰიტლერული ოკუპაციის საშინელებისაგან, რომელიც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მიუნხენის პოლიტიკის შედეგი იყო.

## ა. ი. ვიშინსკიმ შეაჯამა პოლიტიკურ კომიტეტში დისკუსიის შედეგები და დასახა შეიარაღების შემცირებისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების ამოცანის გადაჭრის გზები

**პარიზი**, 30 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკურ კომიტეტში დამთავრდა საერთო დისკუსია სამი სახელმწიფოს იმ წინადადებათა გამო, რომელთაც ეწოდება „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირება, შეზღუდვა და დაბალანსებული შემცირება", აგრეთვე ამ წინადადებათა შესწორებების გამო, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 60 წევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა, აგრეთვე სტუმრებმა და ჟურნალისტებმა, რომლებითაც გაჭედილი იყო პოლიტიკური კომიტეტის დარბაზი, დაძაბული ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის სიტყვა, რომელშიც მან ერთგვარად შეაჯამა დისკუსია პოლიტიკურ კომიტეტში, აგრეთვე გააკეთა დასკვნები და დასახა მთელი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების ამოცანის გადაჭრის შემდგომი გზები.

თავისი სიტყვის დასაწყისში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამხილა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ჭორი და გაცვეთილი, თავმომაბეზრებელი გამოხდომანი, რომლებიც აღსავსე იყო ღვარძლითა და ცილისწამებით, რასაც თავიანთ სიტყვებში ავრცელებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებული ქვეყნების ზოგიერთი დელეგატი და სამთა რეზოლუციის პროექტის ავტორები, მიუხედავად მათი მტკიცებისა, რომ ისინი თითქოს ესწრაფვიან შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევას და ხელმძღვანელობენ მხოლოდ ჭეშმარიტების ინტერესებით, საქმის ინტერესებით.

ვიშინსკიმ ამხილა ფაქტების გაყალბების მეთოდები, რასაც მიმართავდნენ რეზოლუციის ამ პროექტის ავტორები, მათ შორის საფრანგეთის დელეგატი ჟიულ მოკი. საფრანგეთის ამ ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა თავისი მისწრაფების გამო—ცილი დაეწამებინა საბჭოთა კავშირისათვის, დაამახინჯა მშრომელთა დიდი მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ნათქვამი, ამოგლიჯა და თაღლითურად გადაასხვაფერა მისი ნაწარმოების „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში" ციტატი, რათა ამრიგად „დაედასტურებინა" თავისი ცილისმწამებლური ანტისაბჭოთა მტკიცებანი. დარბაზში არაერთგზის ატეხილა ირონიული სიცილი ჟიულ მოკის მიმართ, როცა ვიშინსკი ამხილებდა უხამსი ფალსიფიკაციის მეთოდებს, რომლებსაც საფრანგეთის დელეგატი ხმარობდა. ვიშინსკიმ გაიხსენა, რომ ციტატების გაყალბების ეს მეთოდი ჯერ კიდევ 1948 წელს იხმარეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ოსტინმა, აგრეთვე ბრიტანეთის წარმომადგენელმა მაკნეილმა და მათმა მეგობრებმა, რათა, სხვა ყოველივეს გარდა, საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ჩამოეშორებინათ თავიანთი ნაყალბევებისათვის.

მოიყვანა რა მთელი რიგი უდავო ფაქტები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ მოღვაწეთა აღიარებანი და ამერიკული გაზეთების ნათქვამი, სსრ კავშირის დელეგატმა გამოამჟღავნა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის ჯესეპის ცდების სიყალბე და ფარისევლობა, როცა იგი ირწმუნებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისწრაფვიან შეანელონ დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში და წინ წაიწიონ, როგორც მან თქვა, მოლაპარაკების მშვიდობიანი გზით. ვიშინსკიმ ანალიზი გაუკეთა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოზიციას პარიზში საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წლევანდელ წინასწარ თათბირზე და ცხადყო, რომ ეს პოზიცია წარმოადგენდა უარის თქმას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებაზე და ცდას ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა შეეცვალათ „შეიარაღების დონის" საკითხით.

ახლა ბ-ნი ჯესეპი აცხადებს, შენიშნა ვიშინსკიმ, რომ სამთა რეზოლუციის პროექტი ეგრეთწოდებული შეიარაღების შემცირების შესახებ წარმოადგენს იმ გეზის გაგრძელებას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ახორციელებდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა პარიზის თათბირზე. ეს მართლაც ასეა, ეს იგივე გეზია. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ სამთა რეზოლუციის ახლანდელი პროექტი ისევე დაშორებულია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ამოცანას, როგორც ის პოზიცია, რომელიც სამ სახელმწიფოს ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა პარიზის თათბირზე.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა დაწვრილებით, ზედიზედ გაუკეთა ანალიზი ყველა საბუთს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგატებს მოჰყავდათ თავიანთ წინადადებათა დასაცავად, და ცხადყო, რომ ეს წინადადებანი არ შეეფერებიან მათ მიერ გამოცხადებულ მიზანს, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ ატომური იარაღის აკრძალვას და ცვლიან შეიარაღების ნამდვილ შემცირებას ამ შეიარაღების სტატისტიკური აღწერით. სსრ კავშირის დელეგატმა ამხილა სამი სახელმწიფოს წინადადებათა ავტორების ცდები—დაემახინჯებინათ იმ შესწორებათა არსი, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა, ხელმძღვანელობდა რა მტკიცე მისწრაფებით საქმით განხორციელდეს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება, აკრძალულ იქნას ატომური ბომბი და ამ აკრძალვისადმი დაწესებულ იქნას ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი, რასაც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მოითხოვს.

ვიშინსკიმ ასევე დეტალურად და დაწვრილებით გაუკეთა ანალიზი პასუხებს, რომლებიც ლოიდმა გასცა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციების სახელით კონკრეტულ კითხვებზე, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა თავისი 24 ნოემბრის სიტყვაში დააყენა. ვიშინსკიმ ცხადყო, რომ სამი სახელმწიფოს დელეგაციები არსებითად მოერიდნენ ამ საკითხებზე პირდაპირი პასუხის გაცემას და ამით ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტი ახლანდელი სახით არ ქმნის საჭირო პირობებს, რათა გადაჭრილ იქნას ასამბლეის წინაშე მდგომი ამოცანები—აკრძალულ იქნას ატომური იარაღი, შემცირდეს ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღება და შეიარაღებული ძალები და დაწესდეს მტკიცე საერთაშორისო კონტროლი. ამ ამოცანების გადაჭრის გზა, განაცხადა ვიშინსკიმ, ნაჩვენებია სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის შესწორებებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შემოიტანა.

— სსრ კავშირის დელეგაცია, — თქვა დასასრულ ვიშინსკიმ,—ანგარიშს უწევს ამ საკითხში შექმნილ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვანი უთანხმოებით, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის, და მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციებს შორის. მაგრამ ჩვენ მზადა ვართ განვაგრძოთ ჩვენი ღონისძიებანი და მონაწილეობა მივიღოთ ქვეკომიტეტის მუშაობაში. საბჭოთა კავშირის დელეგაცია დარწმუნებულია, რომ მის მიერ შემოტანილი შესწორებანი გააადვილებენ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანის წარმატებით გადაჭრას ხალხთა საკეთილდღეოდ, რომელთაც სწყურიათ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

• • •

საერთო დისკუსიაში უკანასკნელი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჯესეპი. რადგან ჩიხში იყო მოქცეული საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ნათელი და უდავო არგუმენტაციით, იგი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო ბუნდოვანი განცხადებით, რომ სამი სახელმწიფოს პოზიცია უკვე იყო განმარტებული და რომ მთელი რიგი დელეგატები თავიანთ გამოსვლებში ლაპარაკობდნენ სამი სახელმწიფოს წინადადებათა „მნიშვნელოვან ღირსებაზე".

ჯესეპი ტლანქად შეეცადა გაებათილებინა ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციები პარიზის წინასწარ თათბირზე გამოდიოდნენ ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის დასმის წინააღმდეგ. მაგრამ იმან, რაც ჯესეპმა თქვა, მხოლოდ ის დაადასტურა, რომ ეს დელეგაციები ისწრაფვოდნენ ეს მწვავე საკითხი, რომლის გადაწყვეტაზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, შეეცვალათ ლაყბობით „შეიარაღების დონის" თემაზე.

ჯესეპმა აღნიშნა, რომ სამი სახელმწიფოს პოზიციას, რაც გამოხატულია რეზოლუციის მათი პროექტით, და სსრ კავშირის პოზიციას შორის, რომელიც გამოხატულია ამ პროექტის შესწორებებით, მნიშვნელოვანი უთანხმოებაა, მაგრამ იგი მაინც ირწმუნებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებს სურთ განაგრძონ ცდები შეთანხმების მისაღწევად ურთიერთმისაღებ საფუძველზე. ამიტომ, თქვა ჯესეპმა, ჩვენ მხარს ვუჭერთ სირიის, ერაყისა და პაკისტანის დელეგაციების წინადადებას, რათა შეიქმნას ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შემდგარი ქვეკომიტეტი განსახილველი საკითხის შესახებ ურთიერთშეთანხმებულ საფუძველზე წინადადებათა ჩამოსაყალიბებლად. ჯესეპმა განაცხადა, რომ სამი სახელმწიფოს დელეგაციები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის დელეგაციის გადაწყვეტილებას მონაწილეობა მიიღოს დასახელებული ქვეკომიტეტის მუშაობაში. ამასთან ერთად ჯესეპმა განაცხადა, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის აზრით, ეს ქვეკომიტეტი ძალიან შორს არ უნდა წავიდეს განიარაღების პრობლემის არსის განხილვაში.

ჯესეპის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ საერთო დისკუსია პოლიტიკურ კომიტეტში დამთავრებულად გამოაცხადა.

დღის სხდომაზე განიხილავენ წინადადებებს, რომლებიც ერაყმა, პაკისტანმა და სირიამ შეიტანეს ქვეკომიტეტის შექმნის შესახებ.

**პარიზი**, 30 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღევანდელ დღის სხდომაზე პოლიტიკურმა კომიტეტმა განიხილა ერაყის, პაკისტანისა და სირიის დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი იმის შესახებ, რომ დაარსდეს ქვეკომიტეტი დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია, რომ პოლიტიკური კომიტეტი, ითვალისწინებს რა დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წინადადებებს სათაურით „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირება, შეზღუდვა და დაბალანსებული შემცირება", აგრეთვე ამ წინადადებათა შესწორებებს, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა, ანგარიშს უწევს რა საყოველთაო მისწრაფებას მშვიდობისადმი, მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირების, შეზღუდვისა და თანაზომიერი შემცირებისადმი და ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვისადმი, აგრეთვე ცნობს რა, რომ ამ საკითხებზე შეთანხმება შეუძლებელია ისე, თუ მას სავსებით არ შეუწყო ხელი და მხარი არ დაუჭირა ოთხმა დიდმა სახელმწიფომ,—ადგენს დაარსდეს ქვეკომიტეტი გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

შემდეგ რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ ამ ქვეკომიტეტის ამოცანაა „ჩამოაყალიბოს წინადადებანი, რომლებზეც მიღწეულია შეთანხმება, შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღებისადმი კონტროლისა და მათი შემცირების შესახებ და ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის შესახებ".

შემდეგ რეზოლუციის პროექტი მოითხოვს, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირების, შეზღუდვისა და დაბალანსებული შემცირების" შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინადადებათა განხილვა გადადოს ქვეკომიტეტის მოხსენების მიღებამდე.

ნორვეგიის დელეგაციამ შეიტანა რეზოლუციის ამ პროექტის შესწორებანი. მან მოითხოვა ქვეკომიტეტის ამოცანა განისაზღვროს შემდეგნაირად: ქვეკომიტეტმა პოლიტიკური კომიტეტისადმი წინადადებათა ჩამოყალიბების დროს მხედველობაში უნდა მიიღოს შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, რეზოლუციის ამ პროექტის შესწორებანი, რომლებიც შეიტანა სსრ კავშირის დელეგაციამ, და პოლიტიკურ კომიტეტში მომხდარი კამათი.

ნორვეგიის დელეგაციამ აგრეთვე მოითხოვა დაემატოს პუნქტი იმის შესახებ, რომ ქვეკომიტეტმა მოხსენება უნდა გაუკეთოს პოლიტიკურ კომიტეტს 10 დეკემბრისათვის.

ქვეკომიტეტის შექმნის შესახებ რეზოლუციის პროექტისა და ამ პროექტის შესწორებათა გამო აზრი გამოთქვეს სსრ კავშირის, ბოლივიის, სირიის, საფრანგეთის, ჩილეს, პერუს, პაკისტანისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას უმჯობესად მიაჩნია ქვეკომიტეტის ამოცანების ის ფორმულირება, რომელიც მოცემულია სირიის, ერაყისა და პაკისტანის დელეგაციების მიერ წარდგენილ რეზოლუციის პროექტში, რადგან ამ პროექტში აღნიშნულია, რომ ქვეკომიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს წინადადებანი „შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღებისადმი კონტროლისა, მათი შემცირებისა და ატომური იარაღისა თუ მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის შესახებ".

ამრიგად, თქვა ვიშინსკიმ, ამ პროექტში ნათლად არის აღნიშნული ის ძირითადი მიზანი, რომლისთვისაც არსდება ქვეკომიტეტი. ეს ქვეკომიტეტი არსდება არა საერთოდ ყოველგვარი საკითხის განსახილველად, იგი არსდება იმისათვის, რომ შეეცადოს შეიმუშაოს ისეთი ერთობლივი წინადადებანი, რომლებიც გადაწყვეტენ ატომური იარაღის აკრძალვის, სხვა სახეობის შეიარაღების შემცირებისა და საერთაშორისო კონტროლის დაწესების ამოცანებს. ასეთი გარკვეულობა არ არის,—თქვა ვიშინსკიმ,—ნორვეგიის შესწორებაში.

ჩვენ,—დასძინა ვიშინსკიმ,—მოვითხოვთ გარკვეულობას, სიცხადეს და სიზუსტეს. ჩვენ მოვითხოვთ იმას, რომ ქვეკომიტეტი მუშაობდეს განსაზღვრული მიმართულებით, სახელდობრ, იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას და საერთაშორისო კონტროლის დაწესებას.

შემდეგ გამოსულმა ნორვეგიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწორედ ეს ამოცანებია მხედველობაში მიღებული ქვეკომიტეტის ამოცანების იმ ფორმულირებაში, რომელიც ნორვეგიამ წარადგინა.

პაკისტანის წარმომადგენლის წინადადებით დასმულ იქნა კენჭისყრელად ჯერ იმ რეზოლუციის პროექტის პრეამბულა, რომლის აზრიც გულისხმობს იმას, რომ ქვეკომიტეტმა თავისი მუშაობის დროს მხედველობაში უნდა იქონიოს ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებისა და საერთაშორისო კონტროლის დაწესების ამოცანები. პრეამბულის ეს პუნქტები პოლიტიკურმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო.

ამის შემდეგ ვიშინსკიმ განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია, სურს რა აღმოფხვრას ყოველგვარი სიძნელენი ქვეკომიტეტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს და ითვალისწინებს რა იმას, რომ პოლიტიკური კომიტეტი აღიარებს, რომ მთავარი მიმართულება ქვეკომიტეტის მუშაობაში განისაზღვრება ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღების შემცირებისა და საერთაშორისო კონტროლის დაწესების ამოცანით,—არ გაუწევს წინააღმდეგობას ნორვეგიის შესწორებას.

პოლიტიკურმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო სირიის, ერაყისა და პაკისტანის დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი და ნორვეგიის დელეგაციის მიერ წარდგენილი შესწორებანი.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 1 დეკემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ, რომელმაც მთელი რიგი იერიშები მოიტანა სახალხო არმიის თავდაცვის ხაზის გარღვევის მიზნით. იანგუს ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ გუშინ მოიტანა ორი გააფთრებული იერიში, რომლებიც მოგერიებულ იქნა. მტერმა დიდი ზარალი ნახა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი, რომლებიც ბარბაროსულად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ კორეის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროს მშვიდობიან მოსახლეობას.

**ფხენიანი**, 2 დეკემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე სახალხო არმიის შენაერთები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ცენტრალურ და დასავლეთის ფრონტებზე ირნჩხონის დასავლეთით და ჩხოლვონის რაიონში მოწინააღმდეგემ ავიაციის დახმარებით რამდენჯერმე მოიტანა იერიში მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან მაღლობებზე. მტერი სახალხო არმიის მძლავრ ცეცხლს წააწყდა და უკან დაიხია.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი, რომლებიც ბარბაროსულად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ ვონსანის, პუკჩხონისა და კაძონის რაიონების მშვიდობიან მოსახლეობას.

## მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

**პეკინი**, 1 დეკემბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება: „კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარის დელეგაციების დღევანდელ სხდომაზე ჩვენი დელეგატი კვლავ წინააღუდგა მეორე მხარის წინადადებას—ნებადართულ იქნას დაზავების პერიოდში უცხოეთის ჯარების შეცვლა 1 : 1 საფუძველზე, აიკრძალოს სამხედრო ნაგებობათა ყოველგვარი გადიდება, მიეცეს მეთვალყურე ორგანოს კორეის ყველა ნაწილში თავისუფლად შესვლის უფლება, აგრეთვე წინააღუდგა უაზრო მოთხოვნას, რომ დაზავების დროს იყოლიონ ჯარები კუნძულებზე ჩვენს ზურგში.

ჩვენი დელეგატის მთელი რიგი შეკითხვების პასუხად მეორე მხარემ აღიარა, რომ ეგრეთწოდებული წინადადება დაზავების დროს უცხოეთის ჯარების შეცვლის ნებართვის შესახებ სხვა არაფერია, თუ არ ამერიკის ჯარების მორიგეობის სისტემა, რომელსაც ფართო რეკლამას უწევდნენ დაზავების შესახებ მოლაპარაკების დაწყების წინ და რომლის მიზანია ომის განგრძობა.

მეორე მხარემ აგრეთვე აღიარა, რომ სამხედრო ნაგებობათა ყოველგვარი გადიდების აკრძალვის მიზანია შეზღუდოს ჩვენი მხარე აეროდრომების მშენებლობისა და შეკეთების საქმეში.

ჩვენმა დელეგატმა მტკიცედ მიუთითა, რომ დაზავების დროს უცხოეთის მთელი ჯარების რიცხვი კი არ უნდა გადიდდეს, არამედ უნდა შემცირდეს. შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ უცხოეთის ჯარების გაყვანა კორეიდან, მაგრამ არავითარი გამართლება არა აქვს მათ გამოგზავნას კორეაში.

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს სამხედრო დაზავების პერიოდში მეორე მხარის მიერ კორეის მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების შემდგომი ბარბაროსული დაბომბვა, კორეელ ხალხს სრული უფლება აქვს შეაკეთოს, ააშენოს და გაამაგროს თავისი თავდაცვითი ნაგებობანი, მათ შორის შეაკეთოს და ააშენოს აეროდრომები, და იგი ვერ მოითმენს ამ საქმეში რაიმე ჩარევას ვის მხრივაც უნდა იყოს. შემდეგ ჩვენმა დელეგატმა აღნიშნა, რომ ერთად-ერთი მიზანი, რომელსაც ისახავს მეორე მხარის ეგრეთწოდებული წინადადება იმის შესახებ, რომ მეთვალყურე ორგანოს ჰქონდეს კორეის ყველა ნაწილში თავისუფლად შესვლის უფლება, არის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა და რომ მეორე მხარის მოთხოვნა — იყოლიოს თავისი შეიარაღებული ძალები კუნძულებზე ჩვენს ზურგში აშკარად არღვევს დღის წესრიგის მე-2 პუნქტზე მიღწეულ შეთანხმებას სამხედრო სადემარკაციო ხაზის შესახებ და შესაძლოდ ხდის საომარი მოქმედების განახლებას ყოველ დროს.

მეორე მხარე მთელი სხდომის მანძილზე თავს არიდებდა ჩვენი დელეგატის ამ მოსაზრებებზე ყოველგვარი პირდაპირი პასუხის გაცემას და მოითხოვდა თავის უგუნურ წინადადებათა და მოთხოვნათა მიღებას. ჩვენმა დელეგატმა კვლავ მოუწოდა, რათა დელეგაციებმა მალე მიაღწიონ შეთანხმებას დღის წესრიგის მე-3 პუნქტის პრინციპებზე და შემდეგ გადაწყვიტონ დეტალური საკითხები, ამასთან საფუძვლად მიიღონ ჩვენი მხარის დასაბუთებული და გონივრული წინადადება, რომელიც ხუთ პრინციპს შეიცავს, რათა მალე შეუდგნენ სამხედრო ტყვეთა საკითხის განხილვას".

## მდგომარეობა სირიაში

**დამასკო**, 1 დეკემბერი. (საქდესი). მდგომარეობა სირიაში უცვლელი რჩება. ძალაუფლება ფაქტიურად არმიის ხელში გადავიდა. გუშინ დამასკოში მუშაობა განაახლეს ფოსტამ და ტელეგრაფმა. ძირითად სახელმწიფო დაწესებულებებს ჯარები იცავენ.

დამასკოს გაზეთი „აშ შააბი"—სახალხო პარტიის ორგანო და გაზეთი „ან-ნაზირი", რომელიც ალეპოში გამოდის და სახალხო პარტიის ლიდერს რუშდი კეხიას ეკუთვნის, დახურეს. როგორც გაზეთი „ალ ამალ-ალ-კაუმი" აღნიშნავს, სირიის პრემიერ-მინისტრი მაარუფ ედ-დავალიბი და ახალი მთავრობის სხვა წევრები, აგრეთვე სახალხო პარტიის ალმასკომის თავმჯდომარე ნაზიმ კუდსი ჯერ კიდევ საპატიმროში არიან.

**ბეირუთი**, 1 დეკემბერი. (საქდესი). კუნძულ კვიპროსის რადიო იუწყება, რომ სირიის სამხედრო წრეები ზეგავლენას ახდენენ პრეზიდენტ ჰაშიმ ათასიზე, მოითხოვენ რა, რომ იგი დათანხმდეს შეიქმნას დროებითი მთავრობა პარლამენტის დასათხოვნად და ახალი არჩევნების მოსაწყობად. მაგრამ პრეზიდენტი უარს ამბობს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და, თავის მხრივ, მოითხოვს გაათავისუფლონ მაარუფ ედ-დავალიბის მთავრობის დაპატიმრებული წევრები.

ამავე დროს გაზეთი „ალ-ჰადაფი" იუწყება, რომ სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი შიშეკლი პრეზიდენტს ემუქრება, რომ აიძულებს მას გადადგეს, თუ პრეზიდენტი არ დათანხმდება შეიქმნას ახალი მთავრობა პარლამენტის დასათხოვნად და ახალი არჩევნების მოსაწყობად.

**ბეირუთი**, 2 დეკემბერი. (საქდესი). როგორც დამასკოს რადიოს გადმოცემიდან ჩანს, სრულიად ჩაიფუშა პოლკოვნიკ შიშეკლის ცდა — კანონიერების ელფერი მიეცა მის მიერ გარედან მიღებული ბრძანებით მოხდენილი სახელმწიფო გადატრიალებისათვის. პარლამენტის დეპუტატმა ჰამედ ელ-ხოჯამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა მთავრობის შედგენა სახალხო პარტიის წევრების შეუყვანლად, ვერ გაართვა თავი ამ ამოცანას. სირიის პრეზიდენტმა ჰაშიმ ათასიმ, როგორც დამასკოს რადიო ამტკიცებს, განაცხადა, რომ „გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებულია გადადგეს".

მას შემდეგ, რაც გამოცხადდა პრეზიდენტის გადადგომა, სახელმწიფო გადატრიალების მომხდენმა პოლკოვნიკმა შიშეკლიმ განაცხადა, რომ 2 დეკემბრიდან იგი თვითონ „გამოსცემს დეკრეტებს", რომლებსაც წინათ პრეზიდენტი სცემდა. შიშეკლიმ სირიის პარლამენტი დათხოვნილად გამოაცხადა.

სირიაში შემოღებულია ცენზურა.

## ირანის მთავრობის რეორგანიზაცია

**თეირანი**, 1 დეკემბერი. (საქდესი). დღეს ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა მოახდინა თავისი მთავრობის რეორგანიზაცია. მან შაჰსა და მეჯლისს წარუდგინა სამხედრო მინისტრად გენერალი ეზდან-პენახი, შინაგან საქმეთა მინისტრად ამირ თეიმური (კალალი), ეროვნული ეკონომიკის მინისტრად ალი ამინი, იუსტიციის მინისტრად ამირ ალაი.

### სასამართლოში

## კომბინატორები დაისაჯნენ

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის ფოთის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკები — ბანკის მმართველები ვარლამ კონსტანტინეს-ძე გოროზია და ნესტორ გიორგის-ძე კოხმავა, მთავარი ბუხჰალტერი გიორგი მელიტონის-ძე სვანიძე, უფროსი ბუხჰალტერი ვარლამ ვასილის-ძე კაპარავა, მოლარე-ინკასატორი ლუდმილა იასონის ასული კომახიძე სხვადასხვა კომბინაციების გზით ითვისებდნენ სახელმწიფო თანხებს.

ამ კომბინატორების საქმე ამას წინათ გაარჩია ქ. ფოთში საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ამხ. წერეთელიძის თავმჯდომარეობით.

სამსჯავრო გამოძიებისას, რაც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, გამოირკვა, რომ დასახელებული პირები 4 წლის განმავლობაში ადგენდნენ ყალბ საბუთებს და სახელმწიფო სახსრებს იტაცებდნენ. ნ. კოხმავამ ერთი წლის მანძილზე ბანკის მმართველად მუშაობისას 1946 წელს ბუხჰალტერ კაპარავას და მოლარე კომახიძის ხელშეწყობით 30.000 მანეთი მიითვისა. ი. გაბელიამ ბანკის მმართველის მოვალეობის დროებით შესრულებისას წინასწარ შეთანხმებით ქ. ბათუმისათვის სათბობის დამამზადებელი ფოთის ბაზის გამგის ა. პატარაიას სახელზე გაფორმებული გრძელვადიანი სესხი მიისაკუთრა. ასეთი ოპერაცია მან რამდენჯერმე გაიმეორა. სულ ამ ნაძირალებმა მიითვისეს და ფულის რეფორმისას სახელმწიფოს მიაყენეს ზარალი 846.000 მანეთის რაოდენობით.

უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ გ. მ. სვანიძეს, ვ. ვ. კაპარავას, ლ. ი. კომახიძეს, ვ. კ. გოროზიას მიუსაჯა თითოეულს 25 წლის პატიმრობა შრომაგასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა, ნ. გ. კოხმავას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა, ი. ე. გაბელიას 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა, საქართველოს კომუნალური ბანკის მთავარ რევიზორს გ. ვ. კიკნაძეს თავისი მოვალეობისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის—3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დანარჩენ ბრალდებულებს სასამართლომ შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით.

სესიამ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოიტანა კერძო დადგენილება ფოთის კომუნალური ბანკის ყოფილი თანამშრომლების შ. ჯალაღანიას და ა. ჯიბლაძის, ფოთის ქალაქის ფინგანის გამგის ნ. სალიას და მთავარი ბუხჰალტრის პ. ხომერიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

## კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

4 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება ამხ. კ. სულეიმანის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — მოწინავე — მთავარია შესრულების შემოწმება.

წერილები მშვიდობაზე: დ. ტაკიძე—კოლმეურნე ქალის ბედნიერება. ნ. გამცემლიძე—საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ი. გრიშაშვილი—დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყანა. ქ. ბახტაძე—მეცნიერის სიტყვა.

სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება.

საერთო სათაურით „სტალინური კონსტიტუციის დღის შესახვედრად" წერილები: ბ. საყვარელიძე—ვალდებულებები წარმატებით სრულდება. ქვემო-მაგისტრალური არხის მშენებლებთან. მაღალი საწარმოო მაჩვენებლები.

**მეორე გვერდი** — პარტიული ცხოვრება—კანდიდატები ვადაგადაცილებული სტაჟით. ვ. მიქაძე—იდეურ-პოლიტიკური მუშაობა უმაღლეს სკოლაში. თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში.

მ. გველესიანი—თვითდამშვიდება ზამთრისათვის მზადების საქმეში.

საქდესის ცნობა.

მ. ლომიძე—სახალხო მოსამართლე.

**მესამე გვერდი** — მკითხველთა წერილები. პლანტაციასა და ინსტიტუტში. გარდამავალი შეჯიბრება ფეხბურთში. თ. ჯიბუტი—ბულაჩაურის წყალსადენი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია.

**მეოთხე გვერდი**—უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)
5 დეკემბერს

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები დიდ სტალინზე და სამშობლოზე. 7.50 — კომპოზიტორ ალექსანდროვის კანტატა სტალინზე. 9.20 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 12.00 — ქალაქების: ლენინგრადის, მინსკის, თბილისის, ტალინის და კიევის საზეიმო კონცერტი. 16.00—ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა მიძღვნილი სტალინური კონსტიტუციისადმი. 16.25 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 17.10 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — რადიოკომიტეტის სოლისტის ა. მიქაბერიძის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — სიმღერები მშვიდობაზე. 20.45—საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები. 21.00 — ლექცია „საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება—საბჭოთა კავშირის სიმდიდრისა და ძლიერების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ზრდის წყარო". 21.30 — ს. ცინცაძის პოემა სტალინზე. 21.55 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 22.40 — ხალხური ლექსები სტალინზე და სტალინურ კონსტიტუციაზე. 23.00 — პოპულარული მუსიკა.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — „ტრავიატა" (2 სბ.); **რუსთაველის სახელობის** — „ადამიანებო, იყავით ფხიზლად"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „რომეო და ჯულიეტა"; **გრიბოედოვის სახელობის**—„ორი ზანაკი" (10, 21 სბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„უცარო სიმდიდრე" (8 სბ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„კრაზანა" (6 ს.).


საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს **თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის დირექცია** განმეორებით აცნობებს ყველა უწყებასა და დაწესებულებას, რომ ავტოშემკეთებელი ქარხანა აწარმოებს ხელშეკრულებათა დადებას საბარგო „გაზ-51" და „გაზ-ММ" მარკის ავტომანქანების კაპიტალურ შეკეთებაზე 1952 წლისათვის.

იმ უწყებათა და დაწესებულებათა ავტომანქანებს, რომლებიც ხელშეკრულებას მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე არ დადებენ, 1952 წელს ქარხანა შესაკეთებლად არ მიიღებს.

მოქალაქე **თამარ სიმონის ასულმა დიაკონიძემ**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, ნეკრასოვის ქ. № 3, აღძრა საქმე ქ. ქუთაისში, ტელმანის ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე **ვლადიმერ ივლიანეს-ძე ბარქაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის სამალარიო სადგურის თანამშრომლები იუწყებიან **ძამუ არჩილის ასულ თვალთვაძე-მიმინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-XII, 7 ს. გამოსვენება 6-XII, 4½ ს. პლეხანოვის პროსპექტი, 69.

შვილები თამარ, გრიგოლ, ირაკლი, ვახტანგ, ნუნუ, რძლები ანტონინა, ელენე, თამარ, სიძეები შ. ცირღილაძე და ს. გოთუა, სოფიო ჭარელაშვილი და შვილიშვილები იუწყებიან **ქეთია სიმონის ასულ ბენდუქიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-XII, 7 ს. გამოსვენება 6-XII, 4 ს. ბორჯომის, 16.

მეუღლე ანა, შვილები კუკური, ეთერ და ლენა იუწყებიან **ნოე ანთიმოზის-ძე ჟვანიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-XII, 7 ს. გამოსვენება 6-XII, 4 ს. შიო მღვიმელის შესახვ. 6-ა.

ბიძა ვიქტორ, ბიცოლა გოგუცა, ბიძაშვილები მამია და ვახტანგ სიხარულიძეები იუწყებიან **თეიმურაზ ვასილის-ძე სიხარულიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-XII, 4 ს. პლეხანოვის პროსპექტი, 97.

ძმა შალვა, რძალი ნინო შვილებით, დები ვარვარა, ვერა, ნადია ჟვანიები, სიძეები ბ. გამზარდია, კ. ბერიძე, მ. სულაბერიძე შვილებით იუწყებიან **ნოე ანთიმოზის-ძე ჟვანიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-XII, 7 ს. გამოსვენება 6-XII, 4 ს. შიო მღვიმელის შესახვევი, 6-ა.

და ვარია, სიძე ნ. გვინჩიძე, მული ლიზა, მულიშვილები ელზა, კონსტანტინე, მიხეილ, დავით, ალექსანდრე გეგეჭკორები ოჯახებით, ბიძაშვილი ფატი თვალთვაძე იუწყებიან **ძამუ არჩილის ასულ მიმინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-XII, 7 ს. გამოსვენება 6-XII, 4½ ს. პლეხანოვის, 69.

ბებია ბაბუცა ჰეიშვილი, თამარ, კოლია, ვახტანგ კვანტალიანები, ქეთო და შალვა ჯაფარიძეები ოჯახებით იუწყებიან პატარა **ნანა გვაზავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-XII, 4 ს. პლატონის, 5.



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნისი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06105